ხუთშაბათი 14 მარტი 1996

# კავკასიონი

© ყოველდღიური გაზეთი № 44 (338)

The KAVKASIONI

ფასი 40 თეთრი




## საქართველო

### აფხაზეთის საკითხის საკომიტეტო მოსმენა

გაიმართა პარლამენტის 8 კომიტეტის — საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების, თავდაცვისა და უშიშროების, საგარეო ურთიერთობათა, დარგობრივი ეკონომიკის, ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების — გაერთიანებული სხდომა, რომელზეც განიხილეს აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხები.

„საქართველოს დელეგაცია არ მიიღებს მონაწილეობას 2 აპრილს დაგეგმილ დსთ-ს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაში, თუ რუსეთის მხარე აფხაზეთის კონფლიქტში კოლექტიური სამშვიდობო ძალების ახალ მანდატზე მუშაობისას არ გაითვალისწინებს საქართველოს წინადადებებს", — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგა ბურდულმა. თავის მხრივ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და უმაღლესმა საბჭომ კატეგორიულად მოითხოვეს რუსეთის სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონიდან გაყვანა, ვინაიდან გალის რაიონში მათი ყოფნის პერიოდში აფხაზი სეპარატისტების მიერ დახვრეტილია 1200-მდე ქართველი, 500 კი ტყვედ არის აყვანილი. თვითონ სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებიც ხელს უწყობენ აფხაზ ბოევიკთა ამგვარ ქმედებებს. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის განცხადებით, ვლადისლავ არძინბასთან ყოველგვარი სამშვიდობო მოლაპარაკებები უპერსპექტივოა. საქართველოს პარლამენტმა უნდა აღიაროს, რომ აფხაზეთის ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის მიერ. მან ასევე პრეტენზიები გამოთქვა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ, რადგან კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებული თითქმის არც ერთი დოკუმენტი აფხაზეთის დევნილ მთავრობასთან შეთანხმებული არ ყოფილა.

რაც შეეხება 19 იანვრის მოსკოვის სამიტის ხელშეკრულებას, მისი განხორციელების შესაძლებლობა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე ეჭვქვეშ დააყენეს. ერთ-ერთი პარლამენტარის ცნობით, მოსკოვში უკვე იბეჭდება აფხაზეთის მოქალაქეობის აღმნიშვნელი პასპორტები, ხოლო მოსკოვის დიპლომატიური აკადემია საზღვარგარეთ აფხაზეთის წარმომადგენლობებისთვის დიპლომატებს ამზადებს.

### ლტოლვილებზე დახმარების გაცემა დროებით შეჩერდა

«ზუგდიდის რაიონში განთავსებული ლტოლვილები ვერ მიიღებენ ვერც ერთ კაპიკს ჩემგან, სანამ არ მოხდება მათი ხელახალი რეგისტრაცია", — განაცხადა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ვალერი ვაშაკიძემ. მისი განცხადებით, სახელმწიფომ სამინისტროს ლტოლვილთა კომუნალური ხარჯებისა და დახმარებისთვის ბიუჯეტიდან 31 მილიონი ლარი გამოუყო, გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტრომ დამატებით გამოყო 100 000 ლარი, მაგრამ ეს თანხები ვერ გაწვდება ლტოლვილთა იმ რაოდენობას, რომლის სიებსაც სამინისტროს რეგიონებიდან უგზავნიან. ვალერი ვაშაკიძის განცხადებით, თბილისში გუშინ დაიწყო ლტოლვილთა რეგისტრაცია, რომელიც ერთ თვეს გასტანს, მანამდე კი დახმარებების გაცემა დროებით შეჩერდება.

იპრინდა

### გაეროს მრჩეველი საქართველოში

დღეს საქართველოში ჩამოდის გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური მრჩეველი პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში ისმათ კიტანი. მას განზრახული აქვს საქართველოს პრეზიდენტთან დ სხვა ოფიციალურ პირებთან შეხვედრა. ხვალ ისმათ კიტანი, სიტუაციის ადგილზე შესასწავლად, აფხაზეთში გაემგზავრება.

BGI

### ნავთობის ტრანზიტთან დაკავშირებით

აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის პრეზიდენტმა ტერი ადამსმა განაცხადა, რომ კომპანიას უახლოესი მომავლისთვის დაგეგმილი აქვს ჩირაღის საბადოზე მე-2 პლატფორმის მშენებლობა, რომლიდანაც მოპოვებული ნავთობიც ქართული მარშრუტით გაივლის. მისივე თქმით, ნავთობსადენის საქართველოს მარშრუტზე გავა ასევე ნავთობი გიუნეშლიდან და ნაწილობრივ, ყაზახეთიდან და თურქმენეთიდან.

ნავთობსადენის მშენებლობის დაფინანსებასთან დაკავშირებით ტერი ადამსმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანია შეძლებს საზღვარგარეთის ბანკებიდან სესხის აღებას მსოფლიო ბაზრის მაღალი კურსით.

იპრინდა

### საინფორმაციო სააგენტო «ალორძინება» იტყობინება

აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ მიიღო ფირმა „აჯიოს" წარმომადგენლები ფირმის ვიცეპრეზიდენტის ბუიშან რაოს ხელმძღვანელობით." მთავარი ის არის, რომ, როგორც ვნახეთ, აქ ჩაის პლანტაციები და ფაბრიკები ჯერ კიდევ კარგ მდგომარეობაშია. ამ დარგს აჭარაში დიდი პოტენციალი აქვს და ჩვენ მზად ვართ, ვიმუშაოთ აქ", — აღნიშნა შეხვედრაზე ბატონმა ბუიშან რაომ. გადაწყდა, რომ მუშაობა კვლავაც გაგრძელდება ორივე მხარის დარგის ექსპერტთა დონეზე.

* * *

აჭარაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება ჩინეთის კომპანია „ჩაიანგლორიაინვესტმენტის" პრეზიდენტი ანტონი ლიი თანმხლებ პირებთან ერთად. აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან შეხვედრისას დაისახა ორმხრივი მუშაობის სამი მიმართულება: ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ბანკის მშენებლობა და სატრანსპორტო ქსელის გაფართოება: ჩინეთის კომპანიის აჭარის მიმართ დაინტერესება, ბატონი ლიის თქმით, რეგიონში არსებულმა სტაბილურმა მდგომარეობამ განაპირობა.

* * *

ბოლო პერიოდში სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტებს და მეცნიერ-თანამშრომლებში გაჩნდა საკმაოდ საფუძვლიანი შეხედულება, რომ აჭარაში მიზანშეწონილი და მომგებიანია კაზანლიყის ვარდის კულტურის დანერგვა. სწორედ ამ საკითხზე იმსჯელეს აჭარის მინისტრთა საბჭოში გამართულ თათბირზე. ვარდის ზეთი გამოიყენება პარფიუმერიაში, კოსმეტიკაში, მედიცინასა და კვების მრეწველობაში. გადაწყდა, რომ საჭიროა, ამისთვის მომზადდეს სანერგე მეურნეობა, გამოინახოს აღნიშნული დარგის განვითარებისთვის თანხები.

## ეპიცენტრი

### მსოფლიო პოლიტიკის გრანდები ეგვიპტეში



გუშინ, ეგვიპტის ქალაქ შარმ-ელ-შეიხში, ადგილობრივი დროით 11 საათზე მუშაობა დაიწყო მსოფლიოს 20 ქვეყნის მეთაურთა უპრეცედენტო სამიტმა. სახელმწიფოთა ლიდერებმა იმსჯელეს ერთადერთ საკითხზე: ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნების პრობლემები. „ეს შეხვედრა მშვიდობის საქმეს ემსახურება და შეძლებს, დაამარცხოს პოლიტიკური ძალადობა", — განაცხადა ქაიროში, ეგვიპტის პრეზიდენტ ხოსნი მუბარაქთან შეხვედრისას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ბუტროს ღალიმ, რომელიც მონაწილეობდა სამიტის მუშაობაში.

სამიტის გახსნის ოფიციალური ცერემონიალის შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს: აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა, რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა (მის გარდა რუსეთის ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი პრიმაკოვი, უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის დირექტორი მიხეილ ბარსუკოვი, საგარეო დაზვერვის სამსახურის დირექტორი ვიაჩესლავ ტრუბნიკოვი), ისრაელის პრემიერმინისტრმა შიმონ პერესმა, პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურმა იასირ არაფატმა, სხვა სახელმწიფოთა ხელმძღვანელებმა. ამის შემდეგ, დახურულ კარს მიღმა შედგა სხდომა, რომელზეც დაწვრილებით განიხილეს ტერორიზმთან ბრძოლის კონკრეტულ ღონისძიებათა პროგრამა. სხდომა ორ ნაწილად ჩატარდა და დაახლოებით 3 საათს გრძელდებოდა.



დასასრულს, ბილ კლინტონმა და იასირ არაფატმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომელიც შეთანხმებული იყო სამიტის ყველა მონაწილესთან.



სირიამ და ლიბანმა კი ოფიციალურად განაცხადეს, რომ ეგვიპტის სამიტში მონაწილეობას არ მიიღებდნენ. სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამის თაობაზე ოფიციალურად შეატყობინა სირიაში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს კრისტოფერ როსის. შეტყობინებაში აღნიშნულია, რომ ეგვიპტის ფორუმი მოემსახურება ისრაელის პოზიციებსა და ინტერესების გაძლიერებას არაბების ხარჯზე.

## ნომერშია

### ერთი პრობლემა, ორი თვალსაზრისი

ვის საკუთრებაში უნდა იყოს მიწა?

სადღეისოდ რამდენად დასაშვებია მიწაზე საკუთრების ყველა უფლების დაკანონება?

რას მოიპოვებს და რას დაკარგავს მოქალაქე?

რამ გამოიწვია დღეს მიწის სასაქონლო ბრუნვაში მოქცევა?

გვესაუბრებიან ბატონები ვახტანგ რჩეულიშვილი და მიხეილ ჯიბუტი

იხილეთ მე-3 გვ.

## მსოფლიო

### აღმოაჩინეს იარაღის საიდუმლო სახელოსნო

გუშინ, პალესტინის პოლიციამ ღაზის სექტორში აღმოაჩინა ისლამური ორგანიზაციის „ჰამასის" კუთვნილი საიდუმლო სახელოსნო, სადაც ასაფეთქებელი მოწყობილობები მზადდებოდა. სახელოსნოს მიწისქვეშა საწყობში გადამალული იყო დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერებები, იარაღი, ქიმიკატები. ჯერჯერობით დაპატიმრებულია რამდენიმე პიროვნება.

### მგლის თავზე...

ალჟირში შეურიგებელი ისლამური ოპოზიციის მებრძოლებმა განახორციელეს კიდევ ერთი ტერორისტული აქტი, რომლის მსხვერპლიც, ამჯერად, გახდა ადგილობრივი გაზეთის ფოტოკორესპონდენტი. ბოლო ორი კვირის განმავლობაში, ეს უკვე ჟურნალისტის მკვლელობის მეორე ფაქტია. ფუნდამენტალისტები მათ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდნენ. ასე რომ, ალჟირელი ტერორისტების მრწამსზე მეზობელ ეგვიპტეში გამართული სამიტის იდეები ზეგავლენას არ ახდენს.

### გამოსავალი არ ჩანს

30 წლის მანძილზე დუბლინში პირველად გაიმართა ოფიციალური მოლაპარაკება ირლანდიის მთავრობასა და ოლსტერის იუნიონისტურ პარტიას შორის. ძირითადი ყურადღება დაეთმო მომავალი მოლაპარაკების საკითხების განხილვას, რომელიც ყველა პარტიის მონაწილეობით ამა წლის 10 ივნისს ჩატარდება. იუნიონისტთა თხოვნით, ასევე განიხილებოდა ჩრდილოეთ ირლანდიის ექსტრემისტულ დაჯგუფებათა, მათ შორის — ირლანდიის რესპუბლიკური არმიის განიარაღების პრობლემა. გასულ კვირას გავრცელებულ განცხადებაში, ირლანდიის რესპუბლიკურმა არმიამ უარი განაცხადა ნაწილობრივ განიარაღებაზეც კი, ვიდრე ჩრდილოეთ ირლანდიაში პოლიტიკური მდგომარეობა საბოლოოდ არ მოწესრიგდება. ირლანდიის რესპუბლიკურმა არმიამ ასევე უარი განაცხადა მის მიერ თებერვალში, 17-თვიანი ზავის შემდეგ, განახლებული საომარი მოქმედებების შეწყვეტაზეც.

ამის საპასუხოდ ოლსტერის იუნიონისტურ — პროტესტანტულმა დაჯგუფებამ განაცხადა, რომ მზადაა, ირლანდიის რესპუბლიკური არმიის ტერორისტულ გამოხტომებს ტერორისტული აქტებითვე უპასუხოს. ლოიალისტთა გაერთიანებულმა სამხედრო ხელმძღვანელობამ, რომლის სახელითაც მოქმედებენ ძირითადი პროტესტანტული ტერორისტული ორგანიზაციები, აღნიშნა, რომ იგი ველარ მოითმენს ირლანდიის რესპუბლიკური არმიის დაუსჯელობას.

## ნომერშია

### ისევ თურქული უნივერსიტეტის შესახებ

აზრს გამოთქვამენ ბატონები ალექსანდრე კუჭუხიძე, ილია ტაბაღუა, თამაზ ჩიკვაიძე

„თურქული უნივერსიტეტის საქართველოში მშენებლობა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს არ შეესაბამება!"

იხილეთ მე-2 გვ.

## ახალი საზღვარგარეთი

### გარეგნული სიმშვიდის ფონზე...



რუსეთის მაღალი სამხედრო ჩინოსნები აგრძელებენ გროზნოში უკანასკნელ ხანებში განვითარებული მოვლენების კომენტირებას. მართალია, საერთო შეფასებით, რუსეთის არმიის ოპერაცია, როგორც წესი, წარმატებულად ითვლება, მაგრამ ფედერალური ძალების ხელმძღვანელთა განცხადებები, ხშირად, უფრო თავის მართლების ხასიათს ატარებს. „ფედერალური ხელმძღვანელობა მშვიდობიან მოსახლეთა მსხვერპლს რომ არ მორიდებოდა და ადრე გამოეყენებინა ავიაცია, მძიმე ტექნიკა, მაშინ დუდაეველთა განადგურება ერთ დღეში შეიძლებოდა", — განაცხადა „რიანოვოსტის" კორესპონდენტთან საუბარში რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მეთაურის პირველმა მოადგილემ ვიქტორ გაფაროვმა.

რაც შეეხება უშუალოდ ჩეჩნეთში შექმნილ სიტუაციას, პროგრამა „ვესტის" ცნობით, „ბოევიკთა" ძირითადმა ნაწილმა დატოვა გროზნო. თუმცა, ქალაქში ჯერ კიდევ მოქმედებენ სნაიპერთა ჯგუფები. ბევრი შენობა დანაღმულია, რაც ართულებს სნაიპერთა გაუვნებელყოფის ოპერაციის ჩატარებას. დაზვერვის სამსახურების ინფორმაციით, დუდაევის მომხრეთა რიგებში 12-13 წლის მოზარდები იბრძვიან. სნაიპერთა აქტიური მოქმედების გამო, ვერ ხერხდება სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების აღდგენა. ბოლო ბრძოლებისგან გამოწვეულმა ზარალმა, რუსული მხარის დაანგარიშებით, 1 ტრილიონ რუბლს გადააჭარბა.

მოსალოდნელია, რომ ჩეჩნეთის რუკაზე მალე კიდევ ერთი ცხელი წერტილი გაჩნდება — ბამუტი. მისმა მოსახლეობამ, შესაძლოა, სერნოვოდსკელთა ხვედრი გაიზიაროს, რადგან ბამუტი დუდაევის მომხრეთა ყველაზე უკეთ გამაგრებული ციტადელია. იტარ-ტასის ცნობით, ამჟამად ბამუტის მიდამოებში რუსეთის არმიის მსხვილი სამხედრო შენაერთებია თავმოყრილი. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სამხედროებს მიმართეს თხოვნით, არ დაიწყონ შტურმი. ისინი ამტკიცებენ, რომ სოფელში „ბოევიკები" არ იმყოფებიან. რუსეთის ფედერალური ჯარების შტაბბინაში „რიანოვოსტის" კორესპონდენტს კი აუხსნეს, რომ ბამუტში გამაგრებული არიან ის „ბოევიკები", რომლებმაც სერნოვოდსკიდან გაქცევა მოახერხეს. ბოლო მონაცემებით, სწორედ იქ იმყოფება დუდაევის მომხრეთა მიერ მძევლად აყვანილი 300-მდე ადამიანი, მათ შორის, ოთხმოცდაათი სამხედრო მოსამსახურე. რაიმე ოფიციალური ინფორმაცია, ბამუტზე შეტევის დაწყების დასტურის ან უარყოფის შესახებ, ჯერჯერობით არ არსებობს.

მოსალოდნელია შეტაკებები გუდერმესის რაიონშიც, სადაც დუდაევის მომხრეთა რადიოსადგური მუშაობს და ახლო აღმოსავლეთიდან დაქირავებული მებრძოლებიც იყრიან თავს.

უკანასკნელი ცნობით, ფედერალური ძალების პოზიციები 25-ჯერ დაიცხრილა, მათ შორის გროზნოში — 17-ჯერ. დაიღუპა 2 რუსი სამხედრო მოსამსახურე, 13 — დაიჭრა. გასული ღამის განმავლობაში, დუდაევის მომხრეები ქალაქის გარეუბნებში აგრძელებდნენ სროლებს, შედეგად დაიღუპა 3 მშვიდობიანი მცხოვრები, 2 მათგანი თვითნაკეთ ნაღმზე აფეთქდა. თავში მიყენებული ჭრილობისგან დაიღუპა ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი ინსპექტორი. კვლავ დაძაბულობაა გროზნოს რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე. ადგილობრივ მოსახლეთა აზრით, დუდაევის მომხრეები ცდილობენ გაარკვიონ, ხომ არავინ უჭერს მხარს მათ შორის დოკუ ზავგაევის ადმინისტრაციას.

პროგრამა „ნოვოსტი" იუწყება, რომ ოფიციალური გროზნო ყველანაირად ცდილობს ე.წ. მშვიდობის ზონების შექმნას და შიდაჩეჩნური დიალოგის გაღრმავებას. სამოცზე მეტი დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციამ უკვე მოაწერა ხელი სამშვიდობო შეთანხმებას რუსეთის სამხედრო ძალების მეთაურთან და ზავგაევის მთავრობასთან. ამ შეთანხმებას ახლო მომავალში უნდა შეუერთდეს კიდევ შვიდი რაიონი.

ირინე დეკანოიძე

### ეკატერინბურგელი მილიციელები «შეცდომაში შეიყვანეს»



გუშინ ეკატერინბურგში დაასაფლავეს 10 ომონელი, რომლებიც 7 მარტს გროზნოში დაიღუპნენ. ისინი, ერთ-ერთი ბრძოლის დროს, თანამებრძოლების დასახმარებლად მიემართებოდნენ და მათი მანქანა ნაღმზე აფეთქდა. დაღუპულთა ასაკი 22-30 წელია. ზოგიერთ მათგანს შინ ცოლი და შვილები დარჩა.

როგორც ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადარჩენილმა რაზმის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, ჩეჩნეთში მივლინების წინ მათ აღუთქვეს, რომ გროზნოში მხოლოდ მილიციის ფუნქციებს შეასრულებდნენ, მაგრამ სინამდვილეში სამხედრო ოპერაციების წინა ხაზზე, პირდაპირ „საყასბოში" აღმოჩნდნენ.

კავკასიონი
ხუთშაბათი, 14 მარტი, 1996
საზოგადოება / პოლიტიკა
№44 (888)


## პოზიცია

### ღია ბარათი მეცნიერებს, მწერლებს, პოლიტოლოგებს, პედაგოგებს, ყველა ქართველს!

# თურქული უნივერსიტეტის საქართველოში მშენებლობა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს არ შეესაბამება!

ჩვენ გვინდა, ყველა ქართველისთვის ცნობილი იყოს ბაზალეთის ტბის შემოგარენში თურქული უნივერსიტეტის მშენებლობის შესახებ გაზეთ „კავკასიონის" 1996 წლის 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე, 38-ე და 40-ე ნომრებში გამოქვეყნებული სოზარ სუბელიანის ჟურნალისტური ნარკვევების შინაარსი, ნარკვევებისა, რომელთა საერთო სათაურია „თუ ერს თავად არ ძალუძს ტაძრის აგება, მას არც სჭირდება ტაძარი".

ამ ნარკვევებში, ქალბატონებო და ბატონებო, დასაბუთებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 21 ნოემბრის განკარგულებისა და 1995 წლის 9 იანვრის დადგენილების სიყალბე და ამ განკარგულებითა და ამ დადგენილებით ქართული პოლიტიკისა და ქართული უმაღლესი განათლების მიმართ უცხოელთა დივერსიული ქმედებისთვის საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ კარის გაღება, ხელის შეწყობა... ეს, თურმე, არა მართლაც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების საერთაშორისო უნივერსიტეტი იქნება (თუნდაც ესეც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გვერდით რა საჭიროა), არამედ თურქეთის არცთუ დიდი რეპუტაციის მქონე ორი ფირმის — „ჩალლარისა" და „მარსის" საკუთრებაში მყოფი უნივერსიტეტი.

მეცნიერებისა და პედაგოგიური მოღვაწეობის საერთაშორისო დონემდე ამაღლებული და ახალი თაობის აღზრდის სათავეებთან მდგარ მეცნიერთა და პედაგოგთა ერთმა ნაწილმა უკვე გამოთქვა თავისი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოში, კერძოდ, ბაზალეთის ტბის შემოგარენში მეცნიერული მოღვაწეობით, ინტელიგენტობით, მამულიშვილობით და, საერთოდ, არც არაფრით გამორჩეული ორი თურქი მოქალაქის მიერ ბაზალეთის ისტორიულ მიწაზე თურქული უნივერსიტეტის მშენებლობა — ეს არის აშკარა დივერსია ქართული პოლიტიკისა და ეროვნული უმაღლესი განათლების წინააღმდეგ.

ფაქტი სახეზეა. დააკვირდით, თუ რა აზრისანი არიან საქართველოში თურქული უნივერსიტეტის მშენებლობის თაობაზე საქართველოს ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები — საერთაშორისო დონისა და ახალი თაობის აღზრდის სათავეებთან მდგარი სასიქადულო შვილები ჩვენი ერისა.

**როინ მეტრეველი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი:

„ამ უნივერსიტეტის მიმართ პირადად მეც, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭომაც და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭომაც გამოვხატეთ უარყოფითი დამოკიდებულება".

**ლევან სანიკიძე** — მწერალი, [illegible], აკადემიკოსი:

„[illegible] ექსპანსია [illegible] ჩემი აზრით, [illegible] ასე არ [illegible]".

**კობა იმედაშვილი** — მწერალი, [illegible]:

„[illegible] „ჩალლარისა" და „მარსის" ... [illegible] ქართველები. ამიტომ ნამეტანი უფლება არავის არ უნდა მივცეთ".

**ვახტანგ სართანია** — პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი:

„ასე ხელაღებით უცხოური სასწავლებლის გახსნა საქართველოში არ შეიძლება. თურქული უნივერსიტეტის მიმართ ჩემი დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია".

**მარიამ ლორთქიფანიძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, აკადემიკოსი:

„მიმაჩნია, რომ ეს უნივერსიტეტი საქართველოში არ უნდა გაიხსნას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე გვაქვს თურქოლოგიის განყოფილება, გვაქვს ყველა ენისა და ლიტერატურის განყოფილება. მთელ რიგ ფაკულტეტებზე შეგვიძლია სპეციალური სექტორები გავხსნათ ჩამოსულთათვის... რა საჭიროა ბაზალეთზე ახალი უნივერსიტეტის გახსნა?"

**ზურაბ სარჯველაძე** — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

„ბაზალეთის თურქული უნივერსიტეტის სახით... მე უფრო იდეოლოგიურ, ეთიკურ, ზნეობრივ საფრთხეს ვხედავ".

**რისმაგ გორდეზიანი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე, აკადემიკოსი:

„ჩვენთან მოვიდა ამ უნივერსიტეტის დოკუმენტაცია. აზრი გვკითხეს, შევისწავლეთ და გავგზავნეთ ჩვენი სკეპტიკური დამოკიდებულება... ასეთი ნაბიჯი ძალიან დიდ შეცდომად მიმაჩნია... სხვა სახელმწიფოს ინიციატივით აქ უმაღლესი სასწავლებლების გახსნა ძალზე სახიფათოა. ეკონომიკური თვალსაზრისით მას შეუძლია გამოიწვიოს ჩვენი სასწავლებლების დევალვაცია".

**რევაზ მიშველაძე** — მწერალი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ფენომენის აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი:

„მიმაჩნია, რომ ეს არის დივერსია საქართველოს ეროვნული პოლიტიკისა და ქართული ეროვნული განათლების წინააღმდეგ... მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ არა მხოლოდ თურქული, არამედ ნებისმიერი სხვა. ქვეყნის და უცხოენოვანი უნივერსიტეტების საქართველოში გახსნისა... ამ უნივერსიტეტის სახით საქართველოს დაკაბალების კიდევ ერთ გზას მხარს ვერ დავუჭერ".

**რევაზ ჭირაძე** — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ქრისტიანული კულტურის ლაბორატორიის მეცნიერხელმძღვანელი:

„გაიზრდებიან კი ამგვარ უნივერსიტეტში ისეთი ეროვნული მოღვაწენი, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ვისაც დღედაღამ ნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი?" სერიოზული მოსალოდნელი შეცდომის წინაშე ვდგავართ. ასეთი შეცდომის გამოსწორება გაუჭირდებათ მომავალ თაობებს".

**იოსებ კვიციანი** — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

„ეს არის საქართველოს და ქართველების მორიგი გაყიდვა... მე ინტერნაციონალისტი ვარ, მაგრამ ეს ყველანაირ საზღვარს გადაცილებული საქმეა".

**კორნელი დანელია** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი:

„ამაზე არ უნდა წავიდეთ... აქედან იწყება ეროვნული მეობის, გრძნობის, ეროვნული შეგნების კვდომა. ეს ისეთი პროცესია, რომ ამას თუ არ დაუკვირდა ჩვენისთანა პატარა ერი, მძიმე დღეში ჩავცვივდებით".

**მალხაზ ბარამიძე** — პროფესორი, საქართველოს პარლამენტის წევრი:

„მე და რაულ კუპრავა კატეგორიულად ვითხოვდით, რომ ლიცენზია არ გაცემულიყო".

**მერაბ ბერიძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის რექტორი, პროფესორი:

„მე ბევრი რამის გამო ვარ საქართველოში თურქული უნივერსიტეტის გახსნის წინააღმდეგი".

**გიორგი ანთელავა** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე:

„ჩვენ არ გვჭირდება ეს უნივერსიტეტი, არ მჯერა და არც მგონია, ამ საქმის ინიციატორებმა ჩვენ რამე გვასწავლონ: ისინი მოდიან იმ იდეის განსახორციელებლად, რომელიც ამ ნურისტებს, ნურჯულუქებს აქვთ".

* * *

ქართველი ერის სასიქადულო შვილთა ერთი ნაწილის მოსაზრებანი გაზეთ „კავკასიონის" ფურცლებიდან მოვიტანეთ, მაგრამ პირადად ჩვენ ბაზალეთის ტბის შემოგარენში თურქული უნივერსიტეტის მშენებლობისა და, საერთოდ, საქართველოში უცხოელთა მიერ უმაღლესი სასწავლებლის გახსნის მიზანშეწონილობის თაობაზე ვესაუბრეთ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორებს, პროფესორებს, აკადემიკოსებს — **გიორგი ჯულაყიძეს, გრიგოლ თოდუას, არჩილ თეთრაულს, ზიგფრიდ გრიგალაშვილს, ევგენი ბარათაშვილს, ომარ ქეშელაშვილს, რომან კუჭუხიძეს, პარმენ ლემონჯავას, რევაზ კრიჟინაშვილს, ზურაბ ელიზბარაშვილს, ესტატე ბოლოკაძეს, პაველ ჩაგელიშვილს, პლატონ ჭავთარაძეს;** ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორებს, პროფესორებს, აკადემიკოსებს — **ვახტანგ ძარუმიძეს, ჯემალ სტეფნაძეს;** ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორებს, პროფესორებს, აკადემიკოსებს — **ბიძინა ლუტიძეს, არჩილ გონაშვილს, თეიმურაზ მენაბდიშვილს;** ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორებს, პროფესორებს, აკადემიკოსებს — **თამაზ გოხუას, ოთარ მოდებაძეს, გივი კვიჟიძეს, ილია მიძაძეს, გივი კიკაჩეიშვილს, ლევან გვაზავას.**

აქ დასახელებული მეცნიერებიც შეშფოთებულნი არიან და ძალზე დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 21 ნოემბრის განკარგულებისა და 1995 წლის 9 იანვრის დადგენილების საფუძველზე საქართველოში თურქული უნივერსიტეტის მშენებლობის გამო.

* * *

და, განა მარტო აქ დასახელებული მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები და მწერლები? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ყველა დარგის მეცნიერები, რომლებიც მართლაც არიან ამაღლებულნი მეცნიერების საერთაშორისო დონემდე და ახალი თაობის აღზრდის სათავეებთან დგანან, უარყოფითად აღიქვამენ ჩვენთვის საეჭვო რეპუტაციის მქონე ფირმების „ჩალლარისა" და „მარსის" მიერ ბაზალეთის ტბის შემოგარენში 99 წლის ვადის იჯარით აღებულ 50 ჰექტარ სახნავ-სათეს მიწაზე თურქული უნივერსიტეტის მშენებლობას. გვინდა, ყველა ქართველმა ისიც იცოდეს, რომ საქართველოს ინტელიგენციის ამ უშესანიშნავესი წარმომადგენლების მოსაზრებათა ანგარიშგაუწევლად, ქართველი ერის დაუკითხავად რესპუბლიკის სხვადასხვა რანგის ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირები, თურმე, თვითნებურად, ძალისმიერად, საეჭვო დაინტერესებით მოქმედებენ და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რათა ამ სახნავ-სათეს მიწაზე — ბაზალეთის ტბის შემოგარენში როგორმე აღიმართოს თურქული უნივერსიტეტის ნაგებობები... მერედა, რისთვის? მერედა, რატომ?

* * *

ამაზე დღეს საქართველოში ბევრგან მსჯელობენ. ამაზე იყო სჯა-ბაასი ამ დღეებში საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში, საქართველოს არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოში, საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და საქართველოს, ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა თავყრილობებზე. ყველამ დაგმო ის ვაიქართველები, ქართული ეროვნული პოლიტიკის უგულებელმყოფი თანამდებობის პირები, რომელთა ხელშეწყობით, დახმარებით, მხარდაჭერით, თაოსნობით მიჩუმათებულად, თვალთმაქცურად „გაიკვაჭა" ბაზალეთის ისტორიულ მიწაზე თურქული უნივერსიტეტის მშენებლობის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 21 ნოემბრის ვაიგანკარგულება და 1995 წლის 9 იანვრის დადგენილება.

დაგმეს, მაგრამ რექტორთა საბჭოზე, პრეზიდიუმის სხდომაზე, პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერთა თავყრილობაზე ისიც მოკრძალებით ითქვა, რომ საბედისწერო განკარგულებისა და ამ საბედისწერო დადგენილების დროულად გაუქმება, 99 წლით კი არა, ფაქტობრივად, თურქებზე სამუდამოდ „გაჩუქებული" ბაზალეთის 50 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწის ქართველი ხალხისთვის დაბრუნებას ნიშნავს; ქართული ეროვნული პოლიტიკისა და ქართული ეროვნული განათლებისთვის აშკარა მოღალატე თანამდებობის პირების დროულად გამომზეურებას დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს მეცნიერების მთავარი ჭირისუფლის — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ქართველი ერის სულიერი მასაზრდოებლის — საქართველოს მწერალთა კავშირის, საქართველოს ეკონომისტთა კავშირის, საზოგადოებრივი მეცნიერებათა აკადემიების, საერთოდ, მეცნიერების, პედაგოგების, საქართველოს ყველა ჭეშმარიტი მოქალაქის მართალი სიტყვა, მტკიცე ძალისხმევა.

ასეთი მონოლითურობა საჭიროა, რათა საქართველოში, ბოლოსდაბოლოს, შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, რომ ჩვენს ქვეყანაში თურქეთის კი არა, ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს სასწავლებლის გახსნაზე ფიქრსაც კი ვერავინ ბედავდეს.

გამოვფხიზლდეთ, გონს მოვეგოთ, ქალბატონებო და ბატონებო; დრო არ ითმენს. ახლა სიტყვა თქვენ გეძლევათ, ძვირფასო ქართველო მეცნიერებო, ძვირფასო ქართველო მწერლებო, ძვირფასო ქართველო პედაგოგებო, ძვირფასო ქართველო პოლიტოლოგებო...

ალექსანდრე კუჭუხიძე
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი

ილია ტაბაღუა
საქართველოს ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი

თამაზ ჩიკვაიძე
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

## ახალი საზღვარგარეთი

### გორბაჩოვს კვლავ პრეზიდენტობა სურს



საბჭოთა კავშირის ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა შეაგროვა 1 მილიონი ხელმოწერა, რაც აუცილებელი პირობაა 16 ივნისის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

ხელმოწერები მარტის ბოლომდე უნდა იქნას წარდგენილი რუსეთის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. გორბაჩოვს მიაჩნია, რომ მისი კანდიდატურა ბევრად უფრო პერსპექტიულია, ვიდრე ელცინის. ელცინის თქმით კი, გორბაჩოვი არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 1 პროცენტის მოსაპოვებლად იბრძოლებს.

### გადახდა უნდა ვალსაო...

რუსეთის ვალი მსოფლიო ბანკის მიმართ 1994 წლისთვის 94 მილიარდ 232 მილიონი დოლარი იყო, 1995 წელს კი 100 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. საერთოდ კი, მსოფლიო ბანკის ყველაზე „მსხვილი" მევალე ამჟამად ბრაზილიაა, შემდეგ მოდიან: მექსიკა, ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია და რუსეთი.

### არღვევენ თეირანის შეთანხმებას

იტარ-ტასის ცნობით, ტაჯიკეთში, ტავილდარის რაიონში გრძელდება შეიარაღებული დაპირისპირება ოფიციალურ დუშანბესა და ისლამური ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის. ეს ეწინააღმდეგება ოპოზიციის ლიდერების ადრინდელ განცხადებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ თეირანის შეთანხმების სამი თვით გაგრძელების თაობაზე. ტაჯიკეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, სამთავრობო ძალები იძულებულნი იყვნენ, მიემართათ რიგი პრევენტიული ღონისძიებებისთვის, რათა აღეკვეთათ ოპოზიციის გამოხდომები.

## მსოფლიო

### თურქეთის ახალი მთავრობა

თურქეთის ახალი მთავრობა, რომელსაც პარტია „მამულის" ლიდერი, მესუთ ილმაზი ჩაუდგება სათავეში, ხოლო მომავალი წლიდან კვლავ თანსუ ჩილერი წარუძღვება, ქვეყნის პარლამენტისგან ნდობის ვოტუმს ელის. ილმაზის მოადგილე იქნება პარტია „სწორი გზის" (ამ პარტიას თანსუ ჩილერი უდგას სათავეში) წარმომადგენელი ნაჰიტ მენთეშე. ახალი კაბინეტიდან, რომელიც 33 წევრისგან შედგება, ბევრს უკვე გააჩნია მთავრობაში მუშაობის გამოცდილება.

### ქურთებს მშვიდობა სურთ

ქურთ მებრძოლთა ლიდერმა ოჯალამ მოუწოდა თურქეთის ახალ მთავრობას, თავისუფლების მათ მოთხოვნებს მშვიდობიანი გადაწყვეტა მოუძებნოს. გასული სამი თვის განმავლობაში ქურთები ცეცხლის შეწყვეტისთვის ცალმხრივ ბრძოლას აწარმოებდნენ. სამშაბათს ქურთ მებრძოლთა ორგანიზაციის პოლიტიკურმა ფრთამ მიმართა მთავრობას, გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა ამ საკითხის გადასაწყვეტად. მათ, ასევე, გააფრთხილეს ახალი პრემიერმინისტრი მესუთ ილმაზი, არ გაიმეოროს წარსულში თურქეთის მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომები. ილმაზმა აღუთქვა მებრძოლთ, რომ ყურადღებით განიხილავს ქურთების პრობლემებს, მაგრამ ამჟამად კაბინეტი ჩამოყალიბების პროცესშია, რაც არ იძლევა საშუალებას, დაუყოვნებლივ იქნას განხილული ქურთთა სატკივარი.

### კუბას სანქციების არ ეშინია

სამშაბათს აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი კუბის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს და ხელი მოაწერა „თავისუფლების კუნძულის" წინააღმდეგ სანქციების გატარებას. ეს სანქციები განაპირობა კუბის მიერ აშშ ორი სამოქალაქო თვითმფრინავის ჩამოგდებამ.

კუბა აცხადებს, რომ აშშ-ს მიერ კუბის წინააღმდეგ ემბარგოს გამოცხადების მიუხედავად, მისი ეკონომიკის თავისუფლებასა და განვითარებას საფრთხე არ ემუქრება. მაგალითად, კანადური, მექსიკური და ევროპული კომპანიები, რომელთაც დიდი რაოდენობის ინვესტიციები აქვთ დაბანდებული კუბაში, აცხადებენ, რომ სანქციები მათ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გავლენას ვერ მოახდენენ. ასე რომ, კუბა არ უფრთხის აშშ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სანქციებს.

## მიმართვა

### «მრგვალი მაგიდა» 31 მარტის აღნიშვნას მოითხოვს

პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანებამ — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" — [illegible]

## არჩევნები

### «დუელანტები» ცნობილია

აშშ საპრეზიდენტო არჩევნების, [illegible]

ენდობოდა ზემოთ ხსენებული შვიდი შტატის ამომრჩეველთა 78%, ბიუკენენს — 10%, ხოლო ფორბსს — სულ 7%, თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კითხვაზე, აქვს თუ არა დოულს ახალი იდეები — გამოკითხულთა 51%-მა უპასუხა — „არა" და მხოლოდ 45%-ს მიაჩნია, რომ დოულს შეუძლია მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა აშშ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

წინასწარი გამოკითხვები ჩატარდა ოჰაიოს შტატშიც, სადაც 19 მარტს გაიმართება პრაიმერიზი. შედეგებმა აჩვენა, რომ რესპუბლიკელთა კანდიდატებისადმი მოსახლეობის ნდობა შემდეგნაირად იცვლებოდა.

| | 7-10 მარტი | 5-6 მარტი |
|---|---|---|
| დოული | 62% | 58% |
| ბიუკენენი | 13% | 14% |
| ფორბსი | 10% | 10% |

ამ თვეში რესპუბლიკელებს წინ აქვთ კიდევ შემდეგი „ღონისძიებები":

14 მარტი — სამოას კოკუსი (ადგილობრივი კრება);

19 მარტი — პრაიმერიზები დასავლურ შტატებში, სადაც „თამაშდება" 219 დელეგატის ხმა:

| | |
|---|---|
| ოჰაიო — | 67 |
| ილინოისი — | 59 |
| მიჩიგანი — | 57 |
| ვისკონსინი — | 36 |

25 მარტი — იუტას კოკუსი;

26 მარტი — პრაიმერიზები კალიფორნიაში, ნევადასა და ვაშინგტონში

ეს, რაც შეეხება რესპუბლიკელთა შიდა სამზარეულოს. მაგრამ თუ საერთო მდგომარეობას გადავხედავთ, ამიერიდან რეალურად იწყება ორი გამოცდილი და მაღალი რანგის პოლიტიკოსის: ბილ კლინტონისა და რობერტ დოულის ორთაბრძოლა. დოულის თქმით, დადგა დრო მთელი ძალების გამოყენებისა. თუმცა, მისი გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს ერთგვარი ჩრდილი მიაყენა საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგებმა, საიდანაც ცნობილი გახდა, რომ ბილ კლინტონთან ბრძოლაში იგი, ჯერჯერობით, დამარცხებულის პოზიციაზეა: ამჟამად რომ ჩატარებულიყო არჩევნები, კლინტონს აშშ მოსახლეობის 56% მისცემდა ხმას, დოულს კი — 36.

შიდა არჩევნები ტარდება, ასევე, დემოკრატიულ პარტიაშიც. მაგრამ მას წმინდა ფორმალური მხარე აქვს, რადგან ამ პარტიის ლიდერს ბილ კლინტონს არც ერთი დემოკრატი პრეზიდენტობისთვის დავის გამართვას არ უპირებს.

ნინო ვიბლიანი

## კონფლიქტები

### სერბები მიდიან, ხორვატები მოდიან



ადმინისტრაცია იცვლება

მუსლიმან-ხორვატთა პოლიცია აგრძელებს სარაევოს გარეუბნებში შესვლას. დეიტონის ხელშეკრულების თანახმად, ფედერაციის ძალებს სარაევოს ხუთი გარეუბანი უნდა გადაეცეს. ეს პროცესი 5 მარტს დაიწყო და 20 მარტამდე უნდა დამთავრდეს. სერბები ტოვებენ მშობლიურ სახლებს და პროტესტის ნიშნად თავიანთ უკან ყველაფერს ანადგურებენ — საკუთარი ხელით წვავენ საცხოვრებელ სახლებს, რის შედეგადაც სარაევოს რიგი უბნები ცეცხლის ალშია გახვეული.

პარალელურად, ყოფილ სერბიულ გარეუბან ილიჯაში სამშაბათს ათასობით ხორვატი და მუსლიმანი დაბრუნდა. როგორც ოფიციალური წყაროები იტყობინებიან, ექსცესებს ამ რაიონში დარჩენილ სერბებსა და დაბრუნებულ მუსლიმანთა და ხორვატთა შორის ადგილი არ ჰქონია.

### გადაიზრდება სამხედრო მანევრები ომში?



ტაივანისკენ მიმართული ჩინური რაკეტები

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ტაივანის ყურეში დაიწყო ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნა, რაც ტაივანში 23 მარტისთვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება. ტაივანის შეიარაღებული ძალები აქტიურ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებიან, რადგან ოფიციალურმა ჩინეთმა პირდაპირ განაცხადა, რომ ტაივანის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში, ძალას გამოიყენებს.

ჩინეთის არმიის მანევრების საპასუხოდ, კუნძულ ტაივანის მიმდებარე წყლებში უკვე შევიდა აშშ-ის ავიამზიდი „ინდეპენდენტი". მართალია, აშშ არაა დარწმუნებული, რომ მისი ასეთი მოქმედება ჩინეთის მხრიდან სამხედრო წვრთნის შეწყვეტას გამოიწვევს, მაგრამ ვაშინგტონი მაინც განაგრძობს თავისი უახლესი საჰაერო-საზღვაო ტექნიკის კონცენტრირებას ტაივანის მახლობლად. „ინდეპენდენტის" გარდა, გუშინ აქ შევიდა კიდევ ერთი ამერიკული სამხედრო ესკადრა შემადგენლობით — ავიამზიდი, 6 ხომალდი და წყალქვეშა ნავი.

ყოველივე აღნიშნულის გამო, კუნძულის საქმიანი ცხოვრება მიწელდა. შეწყდა სატვირთო გემებისა და თვითმფრინავების მოძრაობა ჰონკონგ-ტაივანის მიმართულებით. ტაივანის სახელმწიფო ბანკმა ტაივანური დოლარის გასამყარებლად სავალუტო ბირჟაზე, დიდი რაოდენობით ამერიკული დოლარი „გადაისროლა".

ინტერვიუ

# მზესავით თბილი სახლი



ძნელია ერთ პატარა წერილში ჩაეტიო [illegible]

ორი-სამი ძლიერი სპეციალისტი მუშაობს. [illegible]

სხვა კლინიკებისგან განსხვავებით, ჩვენს [illegible]

[illegible] ტრადიციებზე და შემადგენლობაზე, რომელიც პირველი საავადმყოფოს სამეანო განყოფილებაში არსებობდა. აღსანიშნავია, რომ ეს განყოფილება ყოველთვის ძლიერი სტაციონარი იყო.

კლინიკაში სამუშაო ურთიერთობების ამოსავალი პროფესიონალიზმია. ის,



ვინც ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს, ტოვებს სამუშაო ადგილს. გასულ თვეს 7 თანამშრომელი განთავისუფლდა სამსახურიდან, მათ შორის, ექიმებიც.

მომავალში პერსონალის შერჩევა ჩვენს კლინიკაში ტენდერით, ტესტირებით მოხდება. სულ ახლო მომავალში ექიმთა საერთო ატესტაცია ჩატარდება. ჯანმრთელობის სამინისტროს განზრახული აქვს ლიცენზირება.

პრინციპში, რესპუბლიკის მასშტაბით ექიმთა რაოდენობა ბევრად აღემატება სამედიცინო საჭიროების მოთხოვნებს. გარდა ამისა, პრინციპები, რომლითაც სამედიცინო რეფორმა დაიწყო, რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს. „ევრობანკი", რომელიც ამ რეფორმას აფინანსებს, მთელ რიგ მოთხოვნებს გვიყენებს.

საქართველოში ექიმთა რაოდენობა საგრძნობლად აჭარბებს საფრანგეთში ექიმთა რაოდენობას. სამედიცინო პერსონალის კონტინგენტს ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა განსაზღვრავს. ჩვენთან სამედიცინო პოტენციალი 60 პროცენტით მეტია.

კომუნისტების დროს სამედიცინო სისტემის ხელოვნურად გაფართოება განპირობებული იყო მუშახელის დასაქმების პრინციპით. გარდა ამისა, ძველ დროში არსებობდა გიგანტი საავადმყოფოების დამკვიდრების ტენდენცია.

— კლინიკა გათვალისწინებულია მხოლოდ დადებით რეზუსიან მშობიარეებზე, თუ რეზუს უარყოფითებსაც შეუძლიათ ისარგებლონ თქვენი მომსახურეობით?

— რეზუს უარყოფითიანი ორსულებისთვის თბილისში სპეციალიზებული მეოთხე სამშობიარო სახლი ფუნქციონირებს, მაგრამ თუ ვინმეს აუცილებლად ჩვენს კლინიკაში უნდა მშობიარობა, არა მგონია, ამ მხრივ პრობლემები გვქონდეს. თუმცა, ალბათ, უმჯობესია, რეზუს უარყოფითებმა სპეციალიზებულ სამშობიარო სახლს მიმართონ.

— დედის და ახლადშობილი ბავშვის ურთიერთობის ბევრი ახალი პროგრამა გაჩნდა, თქვენთან რა ტიპის ურთიერთობები არსებობს?

— საქართველოში ამერიკული პროგრამის „დედა და ბავშვი" განხორციელება პირველად ჩვენს კლინიკაში დაიწყო, დედა და ახალშობილი არ შორდებიან ერთმანეთს. [illegible]

სოციალიზმის დროს [illegible]

ბავშვის შემდგომი ფიზიკურ-ფსიქოლოგიური განვითარებისთვის ამ ურთიერთობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სასიამოვნოა, რომ თანდათან ვუბრუნდებით ადამიანის ბუნებრივ, ფიზიოლოგიურ და არა ექსპერიმენტალურ განვითარებას. ბავშვი დაბადებისთანავე დედის რძით უნდა იკვებებოდეს.

თუმცა, ამ მეთოდის გამოყენებისას აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომა. მშობიარობის შემდეგ მელოგინე ქალებს ხშირად საკუთარი პრობლემები აქვთ. აუცილებელია დედას დასვენების საშუალება ჰქონდეს, ამიტომ ღამით გარკვეული დროით ბავშვი ცალკე გაგვყავს. ყველა მეთოდს უნდა ინდივიდუალური მორგება, რათა არ მოხდეს მისი დისკრედიტაცია.

— მშობიარეთათვის და ახალდაბადებულთათვის რა პირობებია შექმნილი?

— სამშობიარო სახლში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ყველა პირობაა შექმნილი. გვაქვს მედიკამენტები, სინათლე, გათბობა, კვება, მშობიარებს, დედებს და ახალშობილებს კვალიფიციური პერსონალი ემსახურებათ.

— უცხოეთის კლინიკებთან თუ გაქვთ კავშირები? გეხმარებათ რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაცია?

— ჯერჯერობით, არავინ დაგვხმარებია. სულ ახლო მომავალში ვაპირებთ ქალის უშვილობის პრობლემაზე მუშაობას. გამოცდილების გასაზიარებლად ისრაელში, გერმანიაში კლინიკიდან მივლინებით გაიგზავნებიან ექიმები.

ისრაელიდან ველით ინვესტორებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სამედიცინო ბიზნესით, თუმცა, მართალი გითხრათ, უცხოელი ინვესტორების დახმარება აუცილებელი არაა, საკუთარი ძალებითაც ბევრის გაკეთება შეგვიძლია. დღეს საქართველოში მუშაობა და საქმის კეთება შეიძლება. რა თქმა უნდა, ამისთვის დიდი მონდომება და სახსრების მოპოვებაა საჭირო, მაგრამ ფინანსების მოძიებაც შეიძლება.

— სამედიცინო აპარატურა, ტექნიკა რამდენად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს?

— რამდენიმე წლის წინ საქართველოში ჩამოვიდა ამერიკული ჰოსპიტალი, იმ გზავნილიდან ჩვენც გვერგო საწოლები, აპარატურის გარკვეული ნაწილი. პრინციპში, აუცილებელი ტექნიკა გაგვაჩნია, გარდა ამისა, ვაპირებთ ახალი აპარატურის შეძენას. თვითდაფინანსებაზე გადასვლამ საშუალება მოგვცა, ბანკში ანგარიში გაგვეხსნა, ამჟამად საკმაოდ სოლიდური თანხები გვაქვს, ვაპირებთ „სიმენსის" ფირმასთან ურთიერთობების დამყარებას. გეგმა ბევრი გვაქვს.

— სამომავლოდ რა გეგმები აქვს კლინიკას?

— გეგმები, მართლაც, დიდი გვაქვს, უნდა გაუმჯობესდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კლინიკაში მომსახურეობის პირობები უმაღლეს კატეგორიამდე უნდა გაიზარდოს. მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვაც გვაქვს განზრახული. ასე რომ, ადგილზე არ ვდგავართ.

ესაუბრა

**ნუცა რუხაძე**

[illegible]

... ბობს, ჩვენი სამედიცინო პოტენციალი ხშირად მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სპეციალისტთა დონეს აღემატება. თბილისში ყველა სამშობიარო სახლში [illegible]

აქტუალური თემა

**ვახტანგ რჩეულიშვილი**

პარლამენტის წევრი

# ოპოზიციონერობა სოციალისტური პარტიის თვითმიზანი არ არის



მიწის საკითხზე მსჯელობა ჯერ კიდევ წინა პარლამენტმა დაიწყო: მიწის საკითხი ჩვენი ეკონომიკური და პოლიტიკური წყობის ქვაკუთხედია. ამიტომ, თავისთავად, გასაკვირი არაფერია, რომ კანონპროექტი მსჯელობის საგანი გახდა.

სოციალისტური პარტიის პროგრამაში ნათქვამია, რომ მიწაზე კერძო საკუთრების აღიარება, მიწის ყიდვა-გაყიდვის უფლების გაცემა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა, მაგრამ პროცესი ეტაპობრივად უნდა განვითარდეს. ოღონდ მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ შეიძლება მიწის საკუთრების ყველა ფორმის აღიარება.

კანონპროექტი მოუმზადებელია, დამაფიქრებელია ყიდვა-გაყიდვის საკითხი. საკუთრების შეზღუდვა პრინციპში შეიძლება — სახელმწიფო თავად შეზღუდვის მექანიზმია. სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებრივი ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, შეზღუდვები აუცილებელია. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე ყიდვა-გაყიდვის უფლება უნდა შეიზღუდოს. დემოკრატიული წყობის ბაზა მესაკუთრეთა ფენაა. კანონი საქართველოში მესაკუთრეთა ფართო ფენის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს, მაგრამ ჩვენს მიერ ადრე გადადგმული ნაბიჯები მიგვანიშნებს, რომ არასწორი ქმედება ხშირად დასახული მიზნის საპირისპირო განვითარებას პოვებს. მოუმზადებელი კანონის გამო, ქალაქში ბინების პრივატიზაციით, საბინაო ფონდი, პრაქტიკულად, განადგურდა. ვაუჩერების გაცემამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო სწორედ იმის გამო, რომ თავიდანვე არ შეიქმნა შესაბამისი ინფრასტრუქტურა. მოსახლეობა არ იყო გათვითცნობიერებული ვაუჩერის მოხმარების ხერხებში. ხალხი დღეს რეალური საკუთრების გარეშე დარჩა. ყოველივე ზემოთ ჩამონათვალის გამო კი, შეფერხდა მესაკუთრეთა ფენის განვითარება.

თუ წინდაწინ საფუძვლიანად არ მომზადდა მიწის საკუთრების საკითხი, კანონის პრაქტიკულმა ამოქმედებამ შეიძლება ძალიან დიდი პრობლემები წარმოქმნას. სადღეისოდ ზუსტად არაა განსაზღვრული საზღვრები ოჯახებს, კომლებს, სოფლებს, რაიონებს შორის. საზღვრების დადგენა და მიწის მფლობელობის აღწერა კი სადღეისოდ ძალზე რთულია (1992 წლის დადგენილებით განსაზღვრული ჰექტარი და 25 მეასედი მიწის ნაკვეთების შევსება ჯერ კიდევ არ დასრულებულა). ზუსტად უნდა განისაზღვროს, ვინ რისი მფლობელია. მიწის ფონდის ზუსტი აღწერა კადასტრის სამსახურის მოვალეობაა და სანამ არ ჩატარდება კადასტრი, არც ერთი სოლიდური ბიზნესმენი არ მოისურვებს ჩვენთან საქმიან ურთიერთობებს. თბილისში უძრავი ქონების ბაზარზე, ბირჟაზე სრულფასოვანი საუბარი მხოლოდ ზუსტი მფლობელობის განსაზღვრის და საზღვრების დადგენის შემდეგ შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სპეკულაცია დაიწყება. თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონის მიღებას 1996 წელს ვაპირებდით, ბიუჯეტში კადასტრის კომიტეტისთვის უფრო სოლიდური თანხები უნდა გამოგვეყო. 27 ათასი ლარი კადასტრის ჩასატარებლად მიზერია. კანონს ვიღებთ, კადასტრის ჩასატარებლად კი თანხები არ გამოყოფილა.

ყიდვა-გაყიდვის უფლება დაგირავების უფლებასაც გულისხმობს. გლეხმა მიწა საკუთარი სახსრებით უნდა დაამუშაოს. ინვენტარის, შხამქიმიკატების, თესლეულის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის, საწვავის შესაძენად თავად უნდა მოიპოვოს სახსრები. ასეთ პირობებში გლეხისთვის ერთადერთი გამოსავალი მიწის დაგირავებაა იმის იმედით, რომ მიწეული მოსავლის რეალიზაციის შემდეგ დავალიანების დაფარვას შეძლებს.

განვიხილოთ საქართველოში ბანკების მუშაობა. სადღეისოდ ბანკები 60-70 პროცენტი წლიური განაკვეთით მუშაობენ. კრედიტის გაცემის ყველაზე გრძელი ვადა, პრაქტიკულად, ერთი წელია. განა რა მოსავალი უნდა მიიღოს ერთ წელიწადში გლეხმა, რომ აღებული კრედიტის პროცენტიც გაისტუმროს და საკუთრივ მასაც დარჩეს სარგებელი. საქართველოს სარისკო მიწათმოქმედების ზონაა და მინიმალური ვადა, რომლითაც შეიძლება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება დაგეგმო, 3 წელია. აქედან გამომდინარე, კრედიტის გაცემა იმის მაჩვენებელია, რომ ერთ წელიწადში მიწა სხვა მესაკუთრის მფლობელობაში გადავა.

აუცილებელია ჰიპოთეკური ბანკის, სახელმწიფო საკრედიტო რესურსის შექმნა. მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის დაწევის შემდეგ მიეცემა ჰიპოთეკურ ბანკს მიწაზე ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გლეხური მეურნეობების ფართო მასა პირველივე წელს გაკოტრდება. ჰიპოთეკური ბანკის ჩამოყალიბებაზე კომერციული ბანკების შესახებ კანონის განხილვისას უნდა ვეემსჯელა.

ვშიშობ, რომ მოუმზადებელი კანონპროექტების დამტკიცებით ხელისუფლებას და მოსახლეობას უამრავი დამატებითი პრობლემები შეექმნება.

სოციალისტური პარტიის მიზანია მაქსიმალურად დავიცვათ მოსახლეობის ინტერესები და ყოველი კანონის მიღებისას დავაყენოთ მათი სოციალური დაცვის საკითხები.

კანონის მნიშვნელობა ძალზე დიდია. პრაქტიკულად, მიწა საბაზრო ეკონომიკის მიმოქცევის სფეროში მოექცა. მიწით სარგებლობას ძალიან მკაფიო მნიშვნელობა ენიჭება.

საკითხის განხილვის მოტივაცია თავიდანვე არასწორი იყო. არ შეიძლება ცალსახად გამოცხადება, რომ თუ არ მივიღებთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონს, საერთაშორისო სავალუტო ფონდი კრედიტს არ მოგვცემს. ეს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის დიქტატის მიუღებელი ფორმაა. მით უმეტეს, რომ ხელისუფლებას ყოველთვის შეუძლია საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე. სამწუხაროდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობისას ყველა საკითხი პრეზიდენტის დონეზე არ წყდება, ხელისუფლება კი, ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდება მთელი რიგი საკითხების განხილვას, მთლიანად იზიარებს მათ პოზიციას და ნაკლებად ვთავაზობთ ალტერნატიულ წინადადებებს. გავიხსენოთ თურქეთის ბანკებთან ჩვენი ურთიერთობა — საუბარია 50-მილიონიან კრედიტზე. სწორედ უპასუხისმგებლობის და არაკომპეტენტურობის შედეგია, რომ საქართველომ კრედიტი, საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთით უნდა დააბრუნოს.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონპროექტის პრინციპები დაკანონდა, რადგან კანონი პირველი მოსმენით მიღებულია. ჩვენ ვიბრძოლებთ, რომ ის დაცვის მექანიზმები, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, კანონში შევიტანოთ. ოპოზიციონერობა სოციალისტური პარტიის თვითმიზანი არაა. ჩვენ მომხრენი ვართ, მხოლოდ კონსტრუქციული, საქმიანი ოპოზიციის.

**მიხეილ ჯიბუტი**

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

# გაუმარჯოს საკუთრების უფლებას!



სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე საკუთრების დაკანონების საკითხი უკვე კარგა ხანია მომწიფდა. 1992 წელს საკარმიდამო ნაკვეთების შევსებით დაიწყო საქართველოში მიწის რეფორმა. მანამდე საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების დემონტაჟი არ მომხდარა, გამსახურდიას დროს მათ მხოლოდ სახელი შეეცვალათ.

კანონის მიზანია საქართველოში მოაწესრიგოს სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულების საკითხი, საკუთრებითი და სამეურნეო ურთიერთობები. თუმცა, მიწის ყველა საკითხი, ჯერჯერობით, არ რეგულირდება.

სადღეისოდ, მიწის კანონზე მუშაობის ფორსირება საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებმა და კონკრეტული ვადის დათქმამ განაპირობა.

კანონის პროექტის ოპონენტები ის პირები არიან, რომელთათვის მიწაზე საკუთრების სრული უფლება დაუშვებელია.

პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტი ორი ნაწილისგან შედგება — დადგენილებითი ნაწილი და საკუთრივ კანონი. პირველი რეფორმის მოქმედებას განსაზღვრავს, მეორე — საკანონმდებლო ბაზას.

ხშირად გაისმის, რომ მიწის საკითხთან დაკავშირებით მრავალი პოზიცია არსებობს. ჩემი აზრით, ფაქტობრივად, მხოლოდ ორი პოზიცია არსებობს — მიწაზე სრული საკუთრების უფლების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა პოზიცია.

გასარკვევია, რა ხალხში იწვევს მძაფრ რეაქციას მიწის ყიდვა-გაყიდვის საკითხი. არ შეიძლება კაცი, რომელსაც მიწა აქვს, მასზე საკუთრების უფლების წინააღმდეგი იყოს. მესაკუთრე თავისუფალია ეკონომიკურ ქმედებებში — სურვილისამებრ გაყიდის, გააჩუქებს, მემკვიდრეობით გადასცემს მიწას და ა.შ. ყიდვა-გაყიდვის საკითხს კანონი აწესრიგებს. მიწის გაყიდვის უფლება დასაშვებია, მაგრამ ამისთვის შესაბამისი პირობები უნდა არსებობდეს. სახელმწიფო იქნება, ქვეყნის მოქალაქე თუ უცხოელი, მიწის განკარგვის პირობები ყველასთვის კანონმა უნდა განსაზღვროს.

კიდევ ერთი საკითხი მინდა გამოვყო. კანონპროექტის დადგენილებით ნაწილში არის ერთი პუნქტი, კერძოდ, სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწების შესახებ ცალკე კანონი შეიქმნება. ეს შენიშვნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისთვის მიუღებელია. საშიში მიწის მესაკუთრე კი არაა, საშიშია ის ჩინოვნიკი, მოხელე, ნებისმიერი არამესაკუთრე, რომელიც ნაკლები პოლიტიკურ-ეკონომიკური ხიფათით მიუდგება სახელმწიფოს გამგებლობაში დარჩენილი უზარმაზარი ფართობის განკარგვას.

სოციალიზმის დროს მიწაზე საერთო სახალხო საკუთრება არსებობდა. თუმცა, საკუთრების ეს ფორმა მოიშალა, მაგრამ სადღეისოდ დარჩა ამორფული აგრომეურნეობები, უამრავი გაერთიანება. მათი არსებობა არ შეესაბამება მეწარმეობის შესახებ კანონს, სამეწარმეო საქმიანობის კოდექსს. მთელ რიგ ორგანიზაციებს სახელმწიფო საწარმოები ფიქტიურად ჰქვიათ, ფაქტობრივად კი, მათი აქციონირება არ მომხდარა და ისინი, ძირითადად, ერთი დირექტორის საწარმოებია. იგივე ვითარებაა მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით — თუ არსებობს სახელმწიფო საკუთრება, მისი ყველა შემოსავალი ბიუჯეტში უნდა შედიოდეს — გარკვეული უნდა იყოს, ვინ სარგებლობს მიწის საკუთრების უფლებით, ვისზეა იჯარით გაცემული ნაკვეთი. როგორც კი ეს ურთიერთობები გაირკვევა, მიწის საკითხი მოწესრიგდება. ცნება — მიწაზე საკუთრება როგორც ასეთი, ჩვენთან აღიარებულია კონსტიტუციის საკუთრებაზე უფლების მუხლით და კანონით საკუთრების შესახებ. მაგრამ მიწაზე საკუთრების ფორმების რეგულირების მექანიზმი არც ერთ აღნიშნულ დოკუმენტში მოცემული არაა.

მთავარია, მიწის საკუთრების უფლების კანონიერი განხორციელება. მიწის მფლობელები თავისუფალნი უნდა იყვნენ არჩევანში — სად გაერთიანდებიან კოლმეურნეობაში, კომუნაში, კიბუცში თუ არტელში, მესაკუთრეებმა უნდა გადაწყვიტონ, მიწის ნაკვეთები გააერთიანონ, თუ ცალ-ცალკე დაამუშაონ.

ესაუბრა

**ხათუნა რეხვიაშვილი**

იქ, უცხოეთში

# პრინცესა დიანა — თოჯინა



პრინცესა დიანა განთქმულია თავისი უზომოდ მდიდარი გარდერობით. თქვენი აზრით, რა გაახარებდათ პატარა გოგონებს ყველაზე მეტად? სწორია! მშვენიერი პრინცესა თავისი კიდევ უფრო მშვენიერი კაბებით — ნამდვილი პრინცესას ასლი პრინცესა-თოჯინა. პატარა ინგლისელ გოგონებს უკვე შეუსრულდათ ეს ოცნება. რამდენიმე წნის წინ ინგლისის სათამაშოების მაღაზიებში გამოჩნდნენ თოჯინა-დიანები, რომელთაც, თითოს თხუთმეტნაირი კოსტიუმი, როგორც სპორტული, ისე ელეგანტური ჩასაცმელი მოჰყვება. ბუკინგემის სასახლის ბინადრებს არაფერი აქვთ „თოჯინებით თამაშის" საწინააღმდეგო.

# სინდი კროუფორდი — დიასახლისი



არც დაიჯერებთ! სინდი, სუპერმოდელი, რომელიც მსოფლიო მოდის ყველა ფიცარნაგზე ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სახლში, სინდი, რომელიც მუდამ შორსაა ბანალური ყოველდღიურობისგან, თავად დადის პროდუქტების საყიდლად. ლოს ანჯელესის სუპერმარკეტში ჯინსებში და მოკლე ჟაკეტში გამოწყობილი სინდი ორივე ხელით ტვირთავდა საყიდლების კალათს. მანქანასთან მისულ „პატარა დიასახლისს" ერთი პატარა მარცხი მოუვიდა: მანქანის ავტომატური გასაღები გაეჭედა.

იქ, უცხოეთში

# 52 წლის ტოპმოდელი

კარგ განწყობას პლიუს დისციპლინა — ასეთია სიუზან შონებორნის დევიზი. სიუზანი 30 წლის წინ შანელის მანეკენი იყო. ახლა სამი შვილის დედა, 1,75 მეტრი სიმაღლის და 60 კგ წონის 52 წლის ქალბატონი სილამაზის შესანარჩუნებლად ყოველდღე ვარჯიშობს — უმეტესწილად ველოსიპედით სეირნობს და სწორად იკვებება. მისი საკვები ცოტა ხორცის, ბევრი ხილისა და ბოსტნეულისგან შედგება. მი-



სი შესანიშნავი კანის მთავარი საიდუმლო კი ის გახლავთ, რომ სიუზანი არ ეწევა, არ სვამს, მზეს კი ზომიერად ეფიცხება. დაბანის მაგივრად სახის კანს კოსმეტიკური რძით იწმენდს, დილას და საღამოს კი დღის და ღამის კრემებით უვლის კანს.

სიუზენ შონებორნი დღესაც სუპერმოდელია და პარფიუმერიის რეკლამებიდან უზარმაზარი შემოსავალი აქვს. სიუზენს ამჟერად კოსმეტიკის ფირმა ნივეასთან აქვს კონტრაქტი დადებული.



# ქველმოქმედი ნელსონ მანდელა!

ბედნიერი დაბადების დღე გაუთენდა სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტს. ნელსონ მანდელამ თავისი სამოცდამეჩვიდმეტე დაბადების დღე გოლდ რიფის ქალაქ იოჰანესბურგში იზეიმა — ქალაქში, სადაც იგი 55 წლის წინ, სანამ იურისპრუდენციის და პოლიტიკის საფუძვლების შესწავლას შეუდგებოდა, პოლიციელად მუშაობდა. პრეზიდენტის დაბადების დღეზე დასწრების უფლება 2000 ბავშვს მიეცა. ყველაზე მეტს თავად ნელსონ მანდელა მხიარულობდა, ჰქონდა კიდეც საბაბი: „ნელსონ-მანდელას-ბავშვთა-ფონდს" შემოწირულობების სახით მილიონ დოლარზე მეტი თანხა შეემატა.

მანდელას დაბადების დღეზე ფოტოების გადაღება მხოლოდ ბლიტცის გარეშე იყო ნებადართული. 77 წლის პრეზიდენტი თვალების ოპერაციის გაკეთების შემდეგ კაშკაშა სინათლის მიმართ მგრძნობიარე გახდა.

# კენტის ჰერცოგინია პილიგრიმია

მისი მეუღლე ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეთა სიაში რიგით მეთერამეტეა. მიუხედავად ამისა, კენტის ჰერცოგინია კატარინა, რომელიც ყოველ წელიწადს ჩოგბურთის ფინალისტებს უიმბლდონის თასს გადასცემს ხოლმე, ყოველგვარი ხმაურის ატეხვის გარეშე ეხმარება ავადმყოფ ადამიანებს. 62 წლის თავადიშვილი საავადმყოფოს ტუალეტების რეცხვასაც არ თაკილობს. ამგვარ ქველმოქმედებას იგი გასული წლიდან ეწევა, მას შემდეგ, რაც პროტესტანტმა ქალბატონმა კათოლიკობა მიიღო. ამჟერად, სიმპათიურმა ჰერცოგინიამ მისი, როგორც პილიგრიმის კვირა ფრანგულ პანსიონატში გაატარა, სადაც სასიკვდილოდ გადადებულ ავადმყოფებს დასტრიალებდა თავს.



პოზიცია

ღია ბარათი მეცნიერებს, მწერლებს, პოლიტოლოგებს, პედაგოგებს, ყველა ქართველს!

# თურქული უნივერსიტეტის საქართველოში მშენებლობა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს არ შეესაბამება!

ჩვენ გვინდა, ყველა ქართველისთვის ცნობილი იყოს ბაზალეთის ტბის შემოგარენში თურქული უნივერსიტეტის მშენებლობის შესახებ გაზეთ „კავკასიონის" 1996 წლის 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე, 38-ე და 40-ე ნომრებში გამოქვეყნებული სოზარ სუბელიანის ჟურნალისტური ნარკვევების შინაარსი, ნარკვევებისა, რომელთა საერთო სათაურია „თუ ერს თავად არ ძალუძს ცაძრის აგება, მას არც სჭირდება ტაძარი".

ამ ნარკვევებში, ქალბატონებო და ბატონებო, დასაბუთებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 21 ნოემბრის განკარგულებისა და 1995 წლის 9 იანვრის დადგენილების სიყალბე და ამ განკარგულებითა და ამ დადგენილებით ქართული პოლიტიკისა და ქართული უმაღლესი განათლების მიმართ უცხოელთა დივერსიული ქმედებისთვის საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ კარის გაღება, ხელის შეწყობა... ეს, თურმე, არა მართლაც შეუცვლელსპირა ქვეყნების საერთაშორისო უნივერსიტეტი იქნება (თუნდაც ესეც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გვერდით რა საჭიროა), არამედ თურქეთის არცთუ დიდი რეპუტაციის მქონე ორი ფირმის — „ჩალლარისა" და „მარსის" საკუთრებაში მყოფი უნივერსიტეტი.

მეცნიერებისა და პედაგოგიური მოღვაწეობის საერთაშორისო დონემდე ამაღლებული და ახალი თაობის აღზრდის სათავეებთან მდგარ მეცნიერთა და პედაგოგთა ერთმა ნაწილმა უკვე გამოთქვა თავისი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოში, კერძოდ, ბაზალეთის ტბის შემოგარენში მეცნიერული მოღვაწეობით, ინტელიგენტობით, მამულიშვილობით და საერთოდ, არც არაფრით გამორჩეული ორი თურქი მოქალაქის მიერ ბაზალეთის ისტორიულ მიწაზე თურქული უნივერსიტეტის მშენებლობა — ეს არის აშკარა დივერსია ქართული პოლიტიკისა და ეროვნული უმაღლესი განათლების წინააღმდეგ.

ფაქტი სახეზეა. დააკვირდით, თუ რა აზრისანი არიან საქართველოში თურქული უნივერსიტეტის მშენებლობის თაობაზე საქართველოს ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები — საერთაშორისო დონისა და ახალი თაობის აღზრდის სათავეებთან მდგარი სასიქადულო შვილები ჩვენი ერისა.

**როინ მეტრეველი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი:

„ამ უნივერსიტეტის მიმართ პირადად მეც, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოსაც და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოსაც გამოვხატეთ უარყოფითი დამოკიდებულება".

**ლევან სანიკიძე** — მწერალი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი:

[illegible]

**კობა იმედაშვილი** — [illegible]

[illegible]

ქართველები. ამიტომ ნამეტანი უფლება არავის არ უნდა მივცეთ".

**ვახტანგ სართანია** — პროფესორი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი:

„ასე ხელაღებით უცხოური სასწავლებლის გახსნა საქართველოში არ შეიძლება. თურქული უნივერსიტეტის მიმართ ჩემი დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია".

**მარიამ ლორთქიფანიძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, აკადემიკოსი:

„მიმაჩნია, რომ ეს უნივერსიტეტი საქართველოში არ უნდა გაიხსნას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე გვაქვს თურქოლოგიის განყოფილება, გვაქვს ყველა ენისა და ლიტერატურის განყოფილება. მთელ რიგ ფაკულტეტებზე შეგვიძლია სპეციალური სექტორები გავხსნათ ჩამოსულთათვის... რა საჭიროა ბაზალეთზე ახალი უნივერსიტეტის გახსნა?"

**ზურაბ სარჯველაძე** — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

„ბაზალეთის თურქული უნივერსიტეტის სახით... მე უფრო იდეოლოგიურ, ეთიკურ, ზნეობრივ საფრთხეს ვხედავ".

**რისმაგ გორდეზიანი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე, აკადემიკოსი:

„ჩვენთან მოვიდა ამ უნივერსიტეტის დოკუმენტაცია. აზრი გვკითხეს, შევისწავლეთ და გავგზავნეთ ჩვენი სკეპტიკური დამოკიდებულება... ასეთი ნაბიჯი ძალიან დიდ შეცდომად მიმაჩნია... სხვა სახელმწიფოს ინიციატივით აქ უმაღლესი სასწავლებლის გახსნა ძალზე სახიფათოა. ეკონომიკური თვალსაზრისით მას შეუძლია გამოიწვიოს ჩვენი სასწავლებლების დევალვაცია".

**რევაზ მიშველაძე** — მწერალი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ფენომენის აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი:

„მიმაჩნია, რომ ეს არის დივერსია საქართველოს ეროვნული პოლიტიკისა და ქართული ეროვნული განათლების წინააღმდეგ... მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ არა მხოლოდ თურქული, არამედ ნებისმიერი სხვა ქვეყნის და უცხოენოვანი უნივერსიტეტების საქართველოში გახსნისა... ამ უნივერსიტეტის სახით საქართველოს დაკაბალების კიდევ ერთ გზას მხარს ვერ დავუჭერ".

**რევაზ სირაძე** — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ქრისტიანული კულტურის ლაბორატორიის მეცნიერხელმძღვანელი:

„გაიზრდებიან კი ამგვარ უნივერსიტეტში ისეთი ეროვნული მოღვაწენი, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ვისაც დღედაღამ ნატრულობს ჩუმის ნატერითა ქართველი?" სერიოზული მოსალოდნელი შეცდომის წინაშე ვდგავართ. ასეთი შეცდომის გამოსწორება გაუჭირდებათ მომავალ თაობებს".

**იოსებ კვიციანი** — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

„ეს არის საქართველოს და ქართველების მორიგი გაყიდვა... მე ინტერნაციონალისტი ვარ, მაგრამ ეს ყველანაირ საზღვარს გადაცილებული საქმეა".

**კორნელი დანელია** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი:

„ამაზე არ უნდა წავიდეთ... აქედან იწყება ეროვნული მეობის, გრძნობის, ეროვნული შეგნების კვდომა. ეს ისეთი პროცესია, რომ ამას თუ არ დაუკვირდა ჩვენისთანა პატარა ერი, მძიმე დღეში ჩავცვივდებით".

**მალხაზ ბარამიძე** — პროფესორი, საქართველოს პარლამენტის წევრი:

„მე და რაულ კუპრავა კატეგორიულად ვითხოვდით, რომ ლიცენზია არ გაცემულიყო".

**მერაბ ბერიძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის რექტორი, პროფესორი:

„მე ბევრი რამის გამო ვარ საქართველოში თურქული უნივერსიტეტის გახსნის წინააღმდეგი".

**გიორგი ანთელავა** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე:

„ჩვენ არ გვჭირდება ეს უნივერსიტეტი, არ მჯერა და არც მგონია, ამ საქმის ინიციატორებმა ჩვენ რამე გვასწავლონ. ისინი მოდიან იმ იდეის განსახორციელებლად, რომელიც ამ ნურსიტებს, ნურჯულუქებს აქვთ".

* * *

ქართველი ერის სასიქადულო შვილთა ერთი ნაწილის მოსაზრებანი გაზეთ „კავკასიონის" ფურცლებიდან მოვიტანეთ, მაგრამ პირადად ჩვენ ბაზალეთის ტბის შემოგარენში თურქული უნივერსიტეტის მშენებლობისა და, საერთოდ, საქართველოში უცხოელთა მიერ უმაღლესი სასწავლებლის გახსნის მიზანშეწონილობის თაობაზე ვესაუბრეთ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორებს, პროფესორებს, აკადემიკოსებს — **გიორგი ჯულაყიძეს, გრიგოლ თოდუას, არჩილ თეთრაულს, ზიგფრიდ გრიგალაშვილს, ევგენი ბარათაშვილს, ომარ ძეშელაშვილს, რომან კუჭუხიძეს, პარმენ ლემონჯავას, რევაზ კრიჟინაშვილს, ზურაბ ელიზბარაშვილს, ესტატე ბოლოკაძეს, პავლე ჩაგელიშვილს, პლატონ ჭავთარაძეს**; ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორებს, პროფესორებს, აკადემიკოსებს — **ვახტანგ ძარუმიძეს, ჯემალ სტეფნაძეს**; ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორებს, პროფესორებს, აკადემიკოსებს — **ბიძინა ლუტიძეს, არჩილ გონაშვილს, თეიმურაზ მენაბდიშვილს**; ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორებს, პროფესორებს, აკადემიკოსებს — **თამაზ გოხუას, ოთარ მოდებაძეს, გივი კვიჟიძეს, ილია მიძაძეს, გივი კიკაჩეიშვილს, ლევან გვაზავას.**

აქ დასახელებული მეცნიერებიც შეშფოთებულნი არიან და ძალზე დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 21 ნოემბრის განკარგულებისა და 1995 წლის 9 იანვრის დადგენილების საფუძველზე საქართველოში თურქული უნივერსიტეტის მშენებლობის გამო.

* * *

და, განა მარტო აქ დასახელებული მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები და მწერლები? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ყველა დარგის მეცნიერები, რომლებიც მართლაც არიან ამაღლებულნი მეცნიერების საერთაშორისო დონემდე და ახალი თაობის აღზრდის სათავეებთან დგანან, უარყოფითად აღიქვამენ ჩვენთვის საეჭვო რეპუტაციის მქონე ფირმების „ჩალლარისა" და „მარსის" მიერ ბაზალეთის ტბის შემოგარენში 99 წლის ვადის იჯარით აღებულ 50 ჰექტარ სახნავ-სათეს მიწაზე თურქული უნივერსიტეტის მშენებლობას. გვინდა, ყველა ქართველმა ისიც იცოდეს, რომ საქართველოს ინტელიგენციის ამ უშესანიშნავესი წარმომადგენლების მოსაზრებათა ანგარიშგაუწევლად, ქართველი ერის დაუკითხავად რესპუბლიკის სხვადასხვა რანგის ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირები, თურმე, თვითნებურად, ძალისმიერად, საეჭვო დაინტერესებით მოქმედებენ და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რათა ამ სახნავ-სათეს მიწაზე — ბაზალეთის ტბის შემოგარენში როგორმე აღიმართოს თურქული უნივერსიტეტის ნაგებობები... მერედა, რისთვის? მერედა, რატომ?

* * *

ამაზე დღეს საქართველოში ბევრგან მსჯელობენ. ამაზე იყო სჯა-ბაასი ამ დღეებში საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში, საქართველოს არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოში, საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და საქართველოს, ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა თავყრილობებზე. ყველამ დაგმო ის ვაიქართველები, ქართული ეროვნული პოლიტიკის უგულებელმყოფი თანამდებობის პირები, რომელთა ხელშეწყობით, დახმარებით, მხარდაჭერით, თაოსნობით მიჩუმათებულად, თვალთმაქცურად „გაიკვაფა" ბაზალეთის ისტორიულ მიწაზე თურქული უნივერსიტეტის მშენებლობის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 21 ნოემბრის ვაიგანკარგულება და 1995 წლის 9 იანვრის დადგენილება.

დაგმეს, მაგრამ რექტორთა საბჭოზე, პრეზიდიუმის სხდომაზე, პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერთა თავყრილობაზე ისიც მოკრძალებით ითქვა, რომ საბედისწერო განკარგულებისა და ამ საბედისწერო დადგენილების დროულად გაუქმება, 99 წლით კი არა, ფაქტობრივად, თურქებზე სამუდამოდ „გაჩუქებული" ბაზალეთის 50 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწის ქართველი ხალხისთვის დაბრუნებას ნიშნავს; ქართული ეროვნული პოლიტიკისა და ქართული ეროვნული განათლებისთვის აშკარა მოღალატე თანამდებობის პირების დროულად გამომზეურებას დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს მეცნიერების მთავარი ჭირისუფლის — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ქართველი ერის სულიერი მასაზრდოებლის — საქართველოს მწერალთა კავშირის, საქართველოს ეკონომისტთა კავშირის, საზოგადოებრივი მეცნიერებათა აკადემიების, საერთოდ, მეცნიერების, პედაგოგების, საქართველოს ყველა ჭეშმარიტი მოქალაქის მართალი სიტყვა, მტკიცე ძალისხმევა.

ასეთი მონოლითურობა საჭიროა, რათა საქართველოში, ბოლოსდაბოლოს, შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, რომ ჩვენს ქვეყანაში თურქეთის კი არა, ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს სასწავლებლის გახსნაზე ფიქრსაც კი ვერავინ ბედავდეს.

გამოვფხიზლდეთ, გონს მოვეგოთ, ქალბატონებო და ბატონებო; დრო არ ითმენს. ახლა სიტყვა თქვენ გეძლევათ, ძვირფასო ქართველო მეცნიერებო, ძვირფასო ქართველო მწერლებო, ძვირფასო ქართველო პედაგოგებო, ძვირფასო ქართველო პოლიტოლოგებო...

ალექსანდრე კუჭუხიძე

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი

ილია ტაბაღუა

საქართველოს ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი

თამაზ ჩიკვაიძე

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

## ახალი საზღვარგარეთი

### გორბაჩოვს კვლავ პრეზიდენტობა სურს



საბჭოთა კავშირის ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა შეაგროვა 1 მილიონი ხელმოწერა, რაც აუცილებელი პირობაა 16 ივნისის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

ხელმოწერები მარტის ბოლომდე უნდა იქნას წარდგენილი რუსეთის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. გორბაჩოვს მიაჩნია, რომ მისი კანდიდატურა ბევრად უფრო პერსპექტიულია, ვიდრე ელცინის. ელცინის თქმით კი, გორბაჩოვი არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 1 პროცენტის მოსაპოვებლად იბრძოლებს.

### გადახდა უნდა ვალსაო...

რუსეთის ვალი მსოფლიო ბანკის მიმართ 1994 წლისთვის 94 მილიარდ 232 მილიონი დოლარი იყო, 1995 წელს კი 100 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. საერთოდ კი, მსოფლიო ბანკის ყველაზე „მსხვილი" მევალე ამჟამად ბრაზილიაა, შემდეგ მოდიან: მექსიკა, ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია და რუსეთი.

### არღვევენ თეირანის შეთანხმებას

იტარ-ტასის ცნობით, ტაჯიკეთში, ტავილდარის რაიონში გრძელდება შეიარაღებული დაპირისპირება ოფიციალურ დუშანბესა და ისლამური ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის. ეს ეწინააღმდეგება ოპოზიციის ლიდერების ადრინდელ განცხადებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ თეირანის შეთანხმების სამი თვით გაგრძელების თაობაზე. ტაჯიკეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, სამთავრობო ძალები იძულებულნი იყვნენ, მიემართათ რიგი პრევენტიული ღონისძიებებისთვის, რათა აღეკვეთათ ოპოზიციის გამოხდომები.

## მსოფლიო

### თურქეთის ახალი მთავრობა

თურქეთის ახალი მთავრობა, რომელსაც პარტია „მამულის" ლიდერი, მესუთ ილმაზი ჩაუდგება სათავეში, ხოლო მომავალი წლიდან კვლავ თანსუ ჩილერი წარუძღვება, ქვეყნის პარლამენტისგან ნდობის ვოტუმს ელის. ილმაზის მოადგილე იქნება პარტია „სწორი გზის" (ამ პარტიას თანსუ ჩილერი უდგას სათავეში) წარმომადგენელი ნაჰიტ მენთეშე. ახალი კაბინეტიდან, რომელიც 33 წევრისგან შედგება, ბევრს უკვე გააჩნია მთავრობაში მუშაობის გამოცდილება.

### ქურთებს მშვიდობა სურთ

ქურთ მებრძოლთა ლიდერმა ოჯალამ მოუწოდა თურქეთის ახალ მთავრობას, თავისუფლების მათ მოთხოვნებს მშვიდობიანი გადაწყვეტა მოუძებნოს. გასული სამი თვის განმავლობაში ქურთები ცეცხლის შეწყვეტისთვის ცალმხრივ ბრძოლას აწარმოებდნენ. სამშაბათს ქურთ მებრძოლთა ორგანიზაციის პოლიტიკურმა ფრთამ მიმართა მთავრობას, გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა ამ საკითხის გადასაწყვეტად. მათ, ასევე, გააფრთხილეს ახალი პრემიერმინისტრი მესუთ ილმაზი, არ გაიმეოროს წარსულში თურქეთის მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომები. ილმაზმა აღუთქვა მებრძოლთ, რომ ყურადღებით განიხილავს ქურთების პრობლემებს, მაგრამ ამჟამად კაბინეტი ჩამოყალიბების პროცესშია, რაც არ იძლევა საშუალებას, დაუყოვნებლივ იქნას განხილული ქურთთა ხატკივარი.

### კუბას სანქციების არ ეშინია

სამშაბათს აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი კუბის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს და ხელი მოაწერა „თავისუფლების კუნძულის" წინააღმდეგ სანქციების გატარებას. ეს სანქციები განაპირობა კუბის მიერ აშშ ორი სამოქალაქო თვითმფრინავის ჩამოგდებამ.

კუბა აცხადებს, რომ აშშ-ს მიერ კუბის წინააღმდეგ ემბარგოს გამოცხადების მიუხედავად, მისი ეკონომიკის თავისუფლებასა და განვითარებას საფრთხე არ ემუქრება. მაგალითად, კანადური, მექსიკური და ევროპული კომპანიები, რომელთაც დიდი რაოდენობის ინვესტიციები აქვთ დაბანდებული კუბაში, აცხადებენ, რომ სანქციები მათ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გავლენას ვერ მოახდენენ. ასე რომ, კუბა არ უფრთხის აშშ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სანქციებს.

მიმართვა

# «მრგვალი მაგიდა» 31 მარტის აღნიშვნას მოითხოვს

პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანებამ — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" — გაავრცელა მიმართვა საქართველოში აკრედიტებული უცხოეთის ქვეყნების საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი. მიმართვაში ნათქვამია, რომ 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საარჩევნო ხმის მქონე მოსახლეობის 90,5 პროცენტმა, მათგან 98,9 პროცენტმა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. მიმართვის ავტორები ხაზს უსვამენ, რომ ეს ისტორიული თარიღი საზეიმოდ უნდა აღინიშნოს, მაგრამ არსებული ხელისუფლება, რომელმაც დსთ-ში შეიყვანა საქართველო და ამით დააკარგვინა ქვეყანას დამოუკიდებლობა, არათუ აღნიშნავს დამოუკიდებლობის დღეს, არამედ არბევს იმ თავყრილობებს და სახალხო შეკრებებს, რომელიც ამ ისტორიულ თარიღს ეძღვნება.

„მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" შემადგენელი პარტიები და პოლიტიკური ორგანიზაციები ფიქრობენ, რომ ხელისუფლება წელსაც დაარბევს 31 მარტს გამართულ მშვიდობიან აქციებს და მიმართავენ საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს: „ეგებ აიძულოთ ე.შევარდნაძე, ერთხელ მაინც აჩვენოს თავისი „დემოკრატობა" და არ დაარბიოს 31 მარტის სახალხო ზეიმი" (ციტატა მიმართვიდან). ამასთან, „მრგვალი მაგიდის" მესვეურები იმედოვნებენ, რომ მიმართვის ადრესატები საქართველოს ხელისუფლებას „გაახსენებენ" საერთაშორისო ნორმებსა და საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის მუხლებს.

მიმართვა მთავრდება საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიწვევით სახალხო შეკრებაზე, რომელიც 1996 წლის 31 მარტს, 13 საათზე გაიმართება დედა ენის ძეგლთან.

„თქვენი მობრძანებით დაადასტურებთ, რომ პატივს სცემთ საქართველოს დამოუკიდებლობას!" — აღნიშნულია მიმართვაში.

არჩევნები

# «დუელანტები» ცნობილია

აშშ საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც ამა წლის ნოემბერში გაიმართება, ბილ კლინტონის მეტოქე იქნება სენატორი რობერტ დოული. ეს ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც კანზასელმა სენატორმა „სუპერ სამშაბათს" აშშ შვიდ შტატში (ფლორიდა, ლუიზიანა, მისისიპი, ოკლაჰომა, ტენესი, ტეხასი და ორეგონი) ერთდროულად გამართულ წინასწარ არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ძირითად მოწინააღმდეგეებზე: პატრიკ ბიუკენენსა და სტივ ფორბსზე. მან თავისი ტრიუმფი იმავე საღამოს ვაშინგტონში აღნიშნა.

ეს გამარჯვება ბობ დოულს საშუალებას აძლევს აგვისტოსთვის დაგეგმილ რესპუბლიკური პარტიის დელეგატების ყრილობაზე დელეგატთა ორი მესამედის მხარდაჭერის იმედი იქონიოს. რესპუბლიკელთა კანდიდატის ნომინაციაზე გამარჯვებისთვის 996 ხმის მოგროვებაა საჭირო. ამ რაოდენობიდან დოულმა უკვე შეძლო 738 ხმის მოგროვება. მის მოწინააღმდეგეთა შედეგები კი ასეთია: მულტიმილიონერ გამომცემელ სტივ ფორბსს მხოლოდ 76 ხმა აქვს, ტელეკომენტატორ პატრიკ ბიუკენენს — 71, რესპუბლიკელთა პრეზიდენტობის ერთადერთ შავკანიან კანდიდატს, ალან კიისს — 4, დანარჩენ კანდიდატებს ჯამში 20 ხმა გააჩნიათ, ხოლო 8 დელეგატს სულაც არ გაუკეთებია არჩევანი.

ჯერ კიდევ „სუპერ სამშაბათამდე" ჩატარებული წინასწარი გამოკითხვებით გამოირკვა, რომ დოულს რეალური შანსი ჰქონდა კიდევ ერთი ტრიუმფისა. სოციოლოგთა მონაცემებით, ბიუჯეტის დეფიციტის საკითხთან მიმართებაში დოულს ენდობოდა ზემოთ ხსენებული შვიდი შტატის ამომრჩეველთა 78%, ბიუკენენს — 10%, ხოლო ფორბსს — სულ 7%, თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კითხვაზე, აქვს თუ არა დოულს ახალი იდეები — გამოკითხულთა 51%-მა უპასუხა — „არა" და მხოლოდ 45%-ს მიაჩნია, რომ დოულს შეუძლია მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა აშშ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

წინასწარი გამოკითხვები ჩატარდა ოჰაიოს შტატშიც, სადაც 19 მარტს გაიმართება პრაიმერიზი. შედეგებმა აჩვენა, რომ რესპუბლიკელთა კანდიდატებისადმი მოსახლეობის ნდობა შემდეგნაირად იცვლებოდა.

| | 7-10 მარტი | 5-6 მარტი |
|---|---|---|
| დოული | 62% | 58% |
| ბიუკენენი | 13% | 14% |
| ფორბსი | 10% | 10% |

ამ თვეში რესპუბლიკელებს წინ აქვთ კიდევ შემდეგი „ღონისძიებები":

14 მარტი — სამოას კოკუსი (ადგილობრივი კრება);

19 მარტი — პრაიმერიზები დასავლურ შტატებში, სადაც „თამაშდება" 219 დელეგატის ხმა:

| | |
|---|---|
| ოჰაიო — | 67 |
| ილინოისი — | 59 |
| მიჩიგანი — | 57 |
| ვისკონსინი — | 36 |

25 მარტი — იუტას კოკუსი;

26 მარტი — პრაიმერიზები კალიფორნიაში, ნევადასა და ვაშინგტონში

ეს, რაც შეეხება რესპუბლიკელთა შიდა სამზარეულოს. მაგრამ თუ საერთო მდგომარეობას გადავხედავთ, ამიერიდან რეალურად იწყება ორი გამოცდილი და მაღალი რანგის პოლიტიკოსის: ბილ კლინტონისა და რობერტ დოულის ორთაბრძოლა. დოულის თქმით, დადგა დრო მთელი ძალების გამოყენებისა. თუმცა, მისი გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს ერთგვარი ჩრდილი მიაყენა საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგებმა, საიდანაც ცნობილი გახდა, რომ ბილ კლინტონთან ბრძოლაში იგი, ჯერჯერობით, დამარცხებულის პოზიციაზეა: ამჟამად რომ ჩატარებულიყო არჩევნები, კლინტონს აშშ მოსახლეობის 56% მისცემდა ხმას, დოულს კი — 36.

შიდა არჩევნები ტარდება, ასევე, დემოკრატიულ პარტიაშიც. მაგრამ მას წმინდა ფორმალური მხარე აქვს, რადგან ამ პარტიის ლიდერს ბილ კლინტონს არც ერთი დემოკრატი პრეზიდენტობისთვის დავის გამართვას არ უპირებს.

ნინო ვიბლიანი

კონფლიქტები

# სერბები მიდიან, ხორვატები მოდიან

მუსლიმან-ხორვატთა პოლიცია აგრძელებს სარაევოს გარეუბნებში შესვლას. დეიტონის ხელშეკრულების თანახმად, ფედერაციის ძალებს სარაევოს ხუთი გარეუბანი უნდა გადაეცეს. ეს პროცესი 5 მარტს დაიწყო და 20 მარტამდე უნდა დამთავრდეს. სერბები ტოვებენ მშობლიურ სახლებს და პროტესტის ნიშნად თავიანთ უკან ყველაფერს ანადგურებენ — საკუთარი ხელით წვავენ საცხოვრებელ სახლებს, რის შედეგადაც სარაევოს რიგი უბნები ცეცხლის ალშია გახვეული.




ადმინისტრაცია იცვლება

პარალელურად, ყოფილ სერბიულ გარეუბან ილიჯაში სამშაბათს ათასობით ხორვატი და მუსლიმანი დაბრუნდა. როგორც ოფიციალური წყაროები იტყობინებიან, ექსცესებს ამ რაიონში დარჩენილ სერბებსა და დაბრუნებულ მუსლიმანთა და ხორვატთა შორის ადგილი არ ჰქონია.

# გადაიზრდება სამხედრო მანევრები ომში?



ტაივანისკენ მიმართული ჩინური რაკეტები

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ტაივანის სრუტეში დაიწყო ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნა, რაც ტაივანში 23 მარტისთვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება. ტაივანის შეიარაღებული ძალები აქტიურ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებიან, რადგან ოფიციალურმა ჩინეთმა პირდაპირ განაცხადა, რომ ტაივანის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში, ძალას გამოიყენებს.

ჩინეთის არმიის მანევრების საპასუხოდ, კუნძულ ტაივანის მიმდებარე წყლებში უკვე შევიდა აშშ-ის ავიამზიდი „ინდეპენდენტი". მართალია, აშშ არაა დარწმუნებული, რომ მისი ასეთი მოქმედება ჩინეთის მხრიდან სამხედრო წვრთნის შეწყვეტას გამოიწვევს, მაგრამ ვაშინგტონი მაინც განაგრძობს თავისი უახლესი საჰაერო-საზღვაო ტექნიკის კონცენტრირებას ტაივანის მახლობლად. „ინდეპენდენტის" გარდა, გუშინ აქ შევიდა კიდევ ერთი ამერიკული სამხედრო ესკადრა შემადგენლობით — ავიამზიდი, 6 ხომალდი და წყალქვეშა ნავი.

ყოველივე აღნიშნულის გამო, კუნძულის საქმიანი ცხოვრება მინელდა. შეწყდა სატვირთო გემებისა და თვითმფრინავების მოძრაობა ჰონკონგ-ტაივანის მიმართულებით. ტაივანის სახელმწიფო ბანკმა ტაივანური დოლარის გასამყარებლად, სავალუტო ბირჟაზე, დიდი რაოდენობით ამერიკული დოლარი „გადაისროლა".

ინტერვიუ

# მზესავით თბილი სახლი



ძნელია ერთ პატარა წერილში ჩაატიო ის უცნაური გრძნობა, სამშობიარო სახლიდან წამოსულს რომ მოგყვება თან. ალბათ, ეს არის ამ დედამიწის ზურგზე ყველაზე თბილი — „მზესავით თბილი სახლი", რომლის კედლებშიც ღვთიური მადლი და ნათელია გამეფებული.

მოდიხარ იმედიანი, უდიდესი მადლიერების გრძნობით სავსე, რადგან იცი, რომ ამ სახლის პაწია ბინადართა ბედი, მათ სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანების ხელშია.

თბილისის ექსპერიმენტული სამშობიარო სახლის დირექტორთან, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატ ამირან ქორიძესთან უფრო სხვაგვარ საუბარს ვაპირებდი, მაგრამ საუბარმაც და ჩვენმა ინტერვიუმაც, რატომღაც უფრო საქმიანი სახე მიიღო. იქნებ, ამჯერად ასეც იყო საჭირო.

სადღეისოდ ექიმებს პრობლემები უფრო მეტი აქვთ, ვიდრე დახმარება და მხარდაჭერა. ქვეყნის სოციალურ ორომტრიალში ყველაზე დაუფასებელი და დამადლებული მათი შრომა აღმოჩნდა. მათ მიმართ მოთხოვნები დიდია, კეთილი სიტყვის თქმა კი, ყველას უჭირს.

განსაკუთრებული დაფასების ღირსნი არიან ადამიანები, რომლებმაც დღევანდელ რთულ ეკონომიკურ პირობებში უსაზღვრო ძალისხმევით და მონდომებით, სახელმწიფოს დახმარების გარეშე, თითქმის შეუძლებელი შეძლეს და, დღეს, თბილისში ფუნქციონირებს დამოუკიდებელი სამშობიარო სახლი, სადაც, ამ ქვეყანას ახლადმოვლენილ ადამიანებს ყველა პირობა ექმნებათ სრულფასოვანი არსებობისთვის.

ამირან ქორიძე — სამშობიარო სახლის დირექტორი:

— 1994 წლის ნოემბრიდან პირველი საავადმყოფოს სამეანო განყოფილებამ ფუნქციონირება დაიწყო, როგორც ექსპერიმენტულმა ფასიანმა სამშობიარო განყოფილებამ.

ალსანიშნავია, რომ ჯანდაცვის სამინისტროს დახმარების გარეშე ძალზე გაგვიჭირდებოდა ჩვენი ჩანაფიქრის განხორციელება. ძირეული რეფორმების პრაქტიკული განხორციელება ჯერ კიდევ იწყებოდა და ამიტომ მეანური განყოფილების გაფასიანება შესაბამისი იურიდიული უზრუნველყოფის გარეშე მოხდა. ნახევრად ლეგალურ, ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაში 1995 წლის აგვისტომდე ვიმუშავეთ. აგვისტოდან განყოფილება ოფიციალურად გამოეყო საავადმყოფოს და სახელმწიფო საწარმოს სტატუსით თბილისის ექსპერიმენტული სამშობიარო სახლად გადაკეთდა. სხვა სტაციონარებისგან განსხვავებით, რომელთაც პროგრამული დაფინანსება აქვთ, სამშობიარო სახლი თვითდაფინანსებაზე მუშაობს.

— რა პრინციპული განსხვავებაა სახელმწიფო სამშობიარო სახლებს და თქვენს კლინიკას შორის?

— მუშაობის პრინციპი ყველასთვის ერთია, ჩვენი კლინიკა, პრინციპში, სამშობიარო სახლია და სხვა პროფილი ჩვენ არ გვაქვს. გარდა ამისა, ჩვენთან მუშაობს კონსულტაციის ტიპის პოლიკლინიკური განყოფილება. კლინიკაში მშობიარობის მსურველები თავიდანვე ამ პოლიკლინიკაში დგებიან აღრიცხვაზე და ორსულობის პერიოდი კლინიკის მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობს. ჩემი აზრით, ყველა სამშობიარო სახლმა ამ პრინციპით უნდა იმუშაოს.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში ძალიან ძლიერი სამეანო სკოლა არსებობს, ჩვენი სამედიცინო პოტენციალი ხშირად მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სპეციალისტთა დონეს აღემატება. თბილისში ყველა სამშობიარო სახლში ორი-სამი ძლიერი სპეციალისტი მუშაობს. მასიურად კი, არც საქართველოში და არც ამერიკაში არ არიან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები.

სხვა კლინიკებისგან განსხვავებით, ჩვენ მხოლოდ თვითდაფინანსებით ვარსებობთ, ყველა გარანტირებულია დროული ავანსით და ჯამაგირით. ჩვენი შემოსავალი და ეკონომიკური კეთილდღეობა დამოკიდებულია მუშაობის ხარისხზე, შედეგებზე.

კლინიკაში ერთი პრინციპი მოქმედებს: შემოსული პაციენტი მბრძანებელი და განმკარგავია, ჩვენ ვალდებულნი ვართ, მაქსიმალურად მაღალი დონის მომსახურეობა გავუწიოთ პაციენტებს.

სამედიცინო პერსონალი კლინიკაში, ძირითადად, ძველია. ახალი სამშობიარო სახლი დაფუძნებულია იმ ტრადიციებზე და შემადგენლობაზე, რომელიც პირველი საავადმყოფოს სამეანო განყოფილებაში არსებობდა. აღსანიშნავია, რომ ეს განყოფილება ყოველთვის ძლიერი სტაციონარი იყო.

კლინიკაში სამუშაო ურთიერთობების ამოსავალი პროფესიონალიზმია. ის, ვინც ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს, ტოვებს სამუშაო ადგილს. გასულ თვეს 7 თანამშრომელი განთავისუფლდა სამსახურიდან, მათ შორის, ექიმებიც.



მომავალში პერსონალის შერჩევა ჩვენს კლინიკაში ტენდერით, ტესტირებით მოხდება. სულ ახლო მომავალში ექიმთა საერთო ატესტაცია ჩატარდება. ჯანმრთელობის სამინისტროს განზრახული აქვს ლიცენზირება.

პრინციპში, რესპუბლიკის მასშტაბით ექიმთა რაოდენობა ბევრად აღემატება სამედიცინო საჭიროების მოთხოვნებს. გარდა ამისა, პრინციპები, რომლითაც სამედიცინო რეფორმა დაიწყო, რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს. „ევრობანკი", რომელიც ამ რეფორმას აფინანსებს, მთელ რიგ მოთხოვნებს გვიყენებს.

საქართველოში ექიმთა რაოდენობა საგრძნობლად აჭარბებს საფრანგეთში ექიმთა რაოდენობას. სამედიცინო პერსონალის კონტინგენტს ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა განსაზღვრავს. ჩვენთან სამედიცინო პოტენციალი 60 პროცენტით მეტია.

კომუნისტების დროს სამედიცინო სისტემის ხელოვნურად გაფართოება განპირობებული იყო მუშახელის დასაქმების პრინციპით. გარდა ამისა, ძველ დროში არსებობდა გიგანტი საავადმყოფოების დამკვიდრების ტენდენცია.

— კლინიკა გათვალისწინებულია მხოლოდ დადებით რეზუსიან მშობიარეებზე, თუ რეზუს უარყოფითებსაც შეუძლიათ ისარგებლონ თქვენი მომსახურეობით?

— რეზუს უარყოფითიანი ორსულებისთვის თბილისში სპეციალიზებული მეოთხე სამშობიარო სახლი ფუნქციონირებს, მაგრამ თუ ვინმეს აუცილებლად ჩვენს კლინიკაში უნდა მშობიარობა, არა მგონია, ამ მხრივ პრობლემები გვქონდეს. თუმცა, ალბათ, უმჯობესია, რეზუს უარყოფითებმა სპეციალიზებულ სამშობიარო სახლს მიმართონ.

— დედის და ახლადშობილი ბავშვის ურთიერთობის ბევრი ახალი პროგრამა გაჩნდა, თქვენთან რა ტიპის ურთიერთობები არსებობს?

— საქართველოში ამერიკული პროგრამის „დედა და ბავშვი" განხორციელება პირველად ჩვენს კლინიკაში დაიწყო. დედა და ახალშობილი არ შორდებიან ერთმანეთს. მათი ერთობლივი ცხოვრება სამშობიარო ბლოკიდანვე იწყება. დიდი გრძნობები პირველივე წუთებიდან უვითარდებათ დედასაც და ჩვილსაც.

სოციალიზმის დროს ბავშვი დედასთან მეორე-მესამე დღეს მიყავდათ. ისინი ცალ-ცალკე განყოფილებებში თავსდებოდნენ. მინდა გითხრათ, რომ დღეს სიახლედ მიჩნეულ ურთიერთობებში ახალი არაფერია, ეს მეთოდი ამერიკელებს არ გამოუგონებიათ, ოდითგანვე ბავშვი დაბადების პირველი წუთებიდანავე უწყვეტად ეკონტაქტებოდა დედას.

ბავშვის შემდგომი ფიზიკურ-ფსიქოლოგიური განვითარებისთვის ამ ურთიერთობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სასიამოვნოა, რომ თანდათან ვუბრუნდებით ადამიანის ბუნებრივ, ფიზიოლოგიურ და არა ექსპერიმენტალურ განვითარებას. ბავშვი დაბადებისთანავე დედის რძით უნდა იკვებებოდეს.

თუმცა, ამ მეთოდის გამოყენებისას აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომა. მშობიაროების შემდეგ მელოგინე ქალებს ხშირად საკუთარი პრობლემები აქვთ. აუცილებელია დედას დასვენების საშუალება ჰქონდეს, ამიტომ ღამით გარკვეული დროით ბავშვი ცალკე გაგვყავს. ყველა მეთოდს უნდა ინდივიდუალური მორგება, რათა არ მოხდეს მისი დისკრედიტაცია.

— მშობიარეთათვის და ახალდაბადებულთათვის რა პირობებია შექმნილი?

